ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

9 ოქტომბრიდან!

პროზაული ვერსია

ვეფხისტყაოსანი

ფასი 10 ლარი



პარასკევი, 9 ოქტომბერი, 2015

1237 (6857)

აფცბ5 №) სტსჰბ

# ირმა ინაშვილი: იცოდეთ, ქუჩაში გავალთ!“

„რესპუბლიკური პარტია ხელისუფლებას აშანტაჟებს“



გვ.2

## იტალიის პარლამენტი სამხრეთი ოსეთის აღიარების საკითხს განიხილავს

რას დაჰპირდა „ჩრდილოეთის ლიგა“ ცხინვალის ხელისუფლებას



გვ.5

## ზურაბ აბაშიძე: ვადამდელ არჩევნებს ჩვენ არ ვითხოვთ“



გვ.3

## კახი კალაძე: ზამთარში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება არ იგეგმება“



გვ.6




გვ.4

## კრწანისის გამგეობა სამეფო ძროხაში“ 17.000 ლარს იხდის

## ალექსანდრე ბარამიძე: სუროგაცია მტკივნეული და მოუგვარებელი თემაა“



გვ.3



გვ.3

## თამაზ მეჭიაური: პენსიების გაზრდა ბიუჯეტს დააწვება“

## ინგლისი და ავსტრია მეტოქეებს მშვიდად ელოდებიან

გვ.9

ევროშესარჩევი მატჩების წინ

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკედონია — უკრაინა | 9.5 | 3.8 | 1.44 |
| სლოვაკეთი — ბელარუსი | 1.50 | 4.00 | 7.00 |
| ესპანეთი — ლუქსემბურგი | 1.01 | 17.00 | 34.00 |
| ინგლისი — ესტონეთი | 1.14 | 9.00 | 26.00 |
| სლოვენია — ლიტვა | 1.40 | 4.20 | 9.50 |
| შვეიცარია — სან მარინო | 1.01 | 17.00 | 34.00 |
| ლიხტენშტეინი — შვედეთი | 17.00 | 7.00 | 1.10 |
| მოლდოვა — რუსეთი | 10.00 | 6.00 | 1.17 |
| ჩერნოგორია — ავსტრია | 2.80 | 3.00 | 2.70 |



## ცხინვალის მთავრობას სექტანტები დაეპატრონნენ



გვ.4

მოსახლეობა რადიკალური ზომების მიღებას ითხოვს

ISSN 1987-9385

# ირმა ინაშვილი: ისოდეთ, ქუჩაში გავალთ!“

## „რესპუბლიკური პარტია ხელისუფლებას აშანტაჟებს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი აცხადებს, რომ მისი პარტია იძულებული იქნება, საპროტესტოდ ქუჩაში გამოვიდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები წინასაარჩევნოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე ხელს არ აიღებენ.

როგორც ცნობილია, ირმა ინაშვილი კენჭს იყრის საგარეჯოს შუალედურ არჩევნებში, რომელიც 31 ოქტომბერს არის დანიშნული.

მთავარი კონკურენცია მიმდინარეობს მას და თამარ ხიდაშელს შორის, რომელიც სახელისუფლებო კანდიდატი და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელია. სხვა კანდიდატები პარტიებს არ წარმოადგენენ.

პარტიების დიდმა ნაწილმა ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა იმ მოტივით, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს ძირეულ ცვლილებებს საარჩევნო კანონმდებლობაში. ბოიკოტის მონაწილეები ბრძოლის ყველა მეთოდის გამოყენებას აპირებენ და არც საპროტესტო აქციებს გამორიცხავენ.





### „სააკაშვილის გზა დაღუპვამდე მიგიყვანთ“

ქუჩის აქციებზე დეპუტატობის კანდიდატი ირმა ინაშვილიც ალაპარაკდა. მისთვის მიუღებელია, რომ თამარ ხიდაშელის მხარდასაჭერად საგარეჯოს სისტემატურად სტუმრობენ მინისტრები ან მინისტრის მოადგილეები, განსაკუთრებით — რესპუბლიკური პარტიიდან. ისინი სარგებლობენ კანონმდებლობის იმ მუხლებით, რომლების თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლებს არასამუშაო საათებში საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება აქვთ.

ირმა ინაშვილის მოთმინების ფიალა არარესპუბლიკელი ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს ჩასვლამ აავსო. მისი მტკიცებით, შვებულებაში მყოფი სერგეენკო საგარეჯოში ექიმებს ხიდაშელთან ერთად ხვდებოდა. ამ შეხვედრაზე მისულ ირმა ინაშვილსა და დავით სერგეენკოს შორის შელაპარაკებაც მოხდა.

— ჩვენ იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ მინისტრებმა შვებულებები აიღონ და ღიად დაუჭირონ მხარი ხელისუფლების კანდიდატურებს, — აცხადებს პატრიოტთა ალიანსის ლიდერი.

იგი იზიარებს სხვა პოლიტიკური პარტიების მოსაზრებებს საარჩევნო კოდექსის ხარვეზების თაობაზე, ამასთან, აღნიშნავს, რომ საგარეჯოში კანდიდატების თანასწორუფლებიანობაზე საუბარიც ზედმეტია.

**ირმა ინაშვილი:**

— თუ ხელისუფლება საგარეჯოს არჩევნებში არ შექმნის თანაბარ პირობებს კონკურენტებისათვის, არ უზრუნველყოფს დემოკრატიულ გარემოს, არ გაანებებს თავს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი გავა ამ საარჩევნო პროცესიდან და გადავა ქუჩაში.

იგი აცხადებს, რომ რესპუბლიკელები ხელისუფლებას აშანტაჟებენ და, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, თანამდებობების დატოვებით იმუქრებიან, ხელისუფლება კი წინამორბედების დანაშაულებრივ გზას აგრძელებს.

— თუ დღევანდელი ხელისუფლება გადაჰყვება რესპუბლიკურ პარტიასა და მის ამბიციებს, თუ ის მოექცევა რესპუბლიკელების შანტაჟის ქვეშ, ჩვენ საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას არ დავანებებთ, — აცხადებს ირმა ინაშვილი.

**ის ხელისუფლების ჯანსაღ ნაწილს ეუბნება:**

— ასე გაგრძელება არ შეიძლება. სააკაშვილის გზა დაღუპვამდე მიგიყვანთ. ჩვენ ნაცმოძრაობასაც და ამ სიმახინჯეებსაც ერთად დავამარცხებთ. სააკაშვილის რეჟიმს ბოლომდე გავსრესდით, რომ არა დღევანდელი ხელისუფლება, რომელმაც ის გადაარჩინა. ნაცმოძრაობა გადაარჩინა რესპუბლიკური პარტიის ბირთვმა, რომელიც ხელისუფლებას მაშინაც აშანტაჟებდა.

# თინა ხიდაშელი: საფრანგეთი საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერებაზე იზრუნებს“

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ფრანგ კოლეგა ჟან-ივ ლე დრიანისთან ნატოს შტაბბინაში ორმხრივი შეხვედრა გამართა.

ჟან-ივ ლე დრიანის განცხადებით, საფრანგეთი საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერებაზე იზრუნებს.

არსებითი პაკეტის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებაზე იდენტიფიცირებულები არიან პროექტის ლიდერი სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს თავდაცვის სფეროს სხვადასხვა კომპონენტების გაუმჯობესება- გაძლიერებაზე ზრუნავენ.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სწორედ ამ მიზნით საფრანგეთი იქნება ქვეყანა, რომელიც საჰაერო სივრცის დაცვის გაუმჯობესებისთვის საქართველოში ექსპერტებს მოავლენს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობის შესახებ ფრანგი კოლეგის დღევანდელი დასტური იმ აქტიური თანამშრომლობის და პრაქტიკული შედეგების ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც უახლოეს წარსულში ორ ქვეყანას ჰქონდა.

როგორც თინა ხიდაშელმა განაცხადა, საფრანგეთი საჰაერო თავდაცვის სეგმენტში საქართველოს დახმარების კუთხით ლიდერი ქვეყანა გახდება.

— მოგეხსენებათ, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრს ივნისში შევხვდით, როდესაც ხელი მოეწერა ცნობილ ხელშეკრულებებს. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, რომ საფრანგეთი გამხდარიყო საქართველოს პარტნიორი ქვეყანა ნატოს კონტექსტსა და ფარგლებში. დღემდე ფრანგები არ იყვნენ წარმოდგენილნი არც ერთ კომპონენტში და ამიტომაც იყო ძალიან მნიშვნელოვანი საფრანგეთის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრა, — აღნიშნა ხიდაშელმა.



ჟან-ივ ლე დრიანის განაცხადებით, მათ უკვე იმუშავეს ამ თემებზე და მიღებული გადაწყვეტილება ხიდაშელს გააცნეს.

**თინა ხიდაშელი:**

— საფრანგეთი საჰაერო თავდაცვის სეგმენტში საქართველოს დახმარების კუთხით ლიდერი ქვეყანა გახდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მხოლოდ იმიტომ კი არ არის, რომ ფრანგებს უზარმაზარი გამოცდილება და რესურსები აქვთ და ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი ხდება საქართველოსთვის, არამედ მნიშვნელოვანია პოლიტიკურადაც. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, დღემდე საფრანგეთი ნატოს კონტექსტში, ორმხრივად, საქართველოს პარტნიორთა სიაში არ იყო. არ იყო იმ 15 ქვეყანას შორის, რომელთანაც ჩვენ პრაქტიკული თანამშრომლობა გვქონდა. დღეს მივიღეთ პასუხი საფრანგეთის თავდაცვის მინისტრისგან, რომ, ამერიკელებისა და გერმანელების მსგავსად, ისინიც ხდებიან საქართველოს პარტნიორები. საჰაერო თავდაცვის მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერის საკითხში საფრანგეთი ხდება ლიდერი ქვეყანა.

ხიდაშელმა ასევე აღნიშნა, რომ პოლიტიკურად ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათი მხრიდან.

— საქართველო-ნატოს ურთიერთობების კონტექსტში მათი თანამონაწილეობა კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ხდება. ასევე ჩვენ მივიღეთ დაპირება საფრანგეთის თავდაცვის მინისტრისგან, რომ მომავალი წლის დასაწყისში ის საქართველოში ჩამოვა, რაც ამ თანამშრომლობის გაღრმავების კიდევ ერთი პოლიტიკური დადასტურება იქნება, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ნიუსპრესი

# მუხრან ბურჭულაძე ნაციონალურ მოძრაობას ტოვებს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა მუხრან ბურჭულაძემ 8 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის დატოვების შესახებ განაცხადა და პოლიტიკურ გეგმებზე ისაუბრა. ბურჭულაძის თქმით, იგი თანამოაზრეებთან ერთად ქმნის პარტიას, რომელიც ახალი ხედვითა და ენერგიით იქნება გამორჩეული.



**მუხრან ბურჭულაძე:**

— ეს იქნება პირველი იდეოლოგიური პლატფორმა და საკადრო პარტია ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება ახალი პრეცედენტი ქართულ პოლიტიკაში, როდესაც პოლიტიკოსები არავის დავპირდებით უფასო ლუკმას და არ შევლახავთ ჩვენი თანამემამულეების ღირსებას. ეს არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი და ჩვენ, პირიქით, უნდა გავამდიდროთ ჩვენი დიდი პოლიტიკური ოჯახი და ვისწავლოთ თანამშრომლობა.

ბურჭულაძის თქმით, მისი მომავალი პარტიის ძირითადი მიზანი კანონის უზენაესობა, ხალხის დასაქმება და ბიზნესგარემოს განვითარებაა.

— ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ახალი ეროვნული პრიორიტეტები და მოვახდინოთ ეკონომიკური და დემოკრატიული გარდატეხა, — აღნიშნა მუხრან ბურჭულაძემ.

მედიანიუსი

# გიორგი კვირიკაშვილი: ნატოს წევრობა უმთავრეს საკითხად რჩება“



— საქართველოს მთავრობისთვის ნატოს წევრობა პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრეს საკითხად რჩება, -— განაცხადა საქართველოს ვიცეპრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ.

ვიცეპრემიერ გიორგი კვირიკაშვილისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში შედგა. მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის მიმდინარეობა, ასევე ვარშავის სამიტთან დაკავშირებით საქართველოს მიზნები, განიხილეს რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო.

— ნატოს გენერალურ მდივანს თავდაცვის მინისტრთან ერთად შევხვდით. ეს, უპირველესად, ჩვენი მხრიდან იმის დემონსტრირება იყო, რომ ნატო საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება და პროგრესი ნატოში ინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანესია ჩვენი მთავრობისთვის.

გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ის პროგრესი, რომელიც საქართველომ ნატოში ინტეგრაციის გზაზე განიცადა. იგი დაგვპირდა, რომ ნატოს წევრ ქვეყნებში აზრის კონსოლიდაციას მოახდენს, რათა საქართველოს პროგრესი ალიანსში სათანადოდ აღინიშნოს. თუ რა სახით იქნება ეს აღნიშნული — მაპით თუ ასე შემდეგ, ამას დრო გვიჩვენებს.

რა თქმა უნდა, მაპი არის ლოგიკური შემდეგი ნაბიჯი, რასაც საქართველო ალიანსისგან უნდა მოელოდეს, მაგრამ ჩვენი საბოლოო მიზანია ნატოს წევრობა, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

შეხვედრაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალიანსი ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილების ერთგულია. იენს სტოლტენბერგი უელსის სამიტზე დამტკიცებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში განცდილ პროგრესს მიესალმა. მან ასევე მადლიერება გამოხატა საქართველოს მიერ ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მიერ გამოვლენილ სიმამაცესა და მაღალ პროფესიონალიზმს გაუსვა ხაზი.

მედიანიუსი

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

უფპტსბ
უფვჯლუც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ

რჯყცკნფყტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბბფყბ
ცფბყფყცჯ ცფვცფჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფჰბ 2 -(-)-
უფდჰწტკტ,ბც ცფვცფჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფფლჯტფ 2 ბყფფ ლდფვბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრბ7 ვპბფ მჯმფიდბკბ

ჰტლფმწნფიბ იტჯჯცეკბ ვფცფკტ,ბ ფჰ ჰტწტყბპბჰლტ,ფ ლფ ფდნჯჰტ,ც ფჰ გ,ჰეყლტ,ფ8 ჰტლფმწნბც სფყჯჯ,ბც უფჰტიტ უფპტსიბ ლფ,ტწლბკბ ვფცფკტ,ბც7 ცეჰფსტ,ბც ლფ ცფჰტრკფვჯ უფყწფლტ,ტ,ც ცჰეკბ ფყ ყფობკჯ,ჰბდბ უფვჯ.ტყტ,ფ ფრჰფკეკბფ8 ცნფწნფიბ უფვჯმდტ,ყტ,ეკბ ვფცფკტ,ბც ცბპეცნტპტ გფცეც ფუტ,ც ფდნჯჰბ8 ცფფდნჯჰჯ ეკტ,ტ,ბ ლფწეკბფ8

# ზურაბ აბაშიძე: ვადამდელ არჩევნებს ჩვენ არ ვითხოვთ“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ შემოთავაზებული გეგმა ნაციონალების პოლიტიკური დღის წესრიგია და ისინი არ აპირებენ ამ პროცესში მონაწილეობას.

**ზურაბ აბაშიძე:**

— ცოტა გაუგებარი განცდა მაქვს ამ პროცესის მიმართ, რადგან ჩვენ საარჩევნო სისტემის რეფორმაზე ვსაუბრობთ და ამ მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებაც დავიწყეთ. ეს საარჩევნო სისტემა ნაციონალურმა მოძრაობამ დაგვიტოვა, როგორც მემკვიდრეობა და ამ ხელისუფლებამ წარმატებით მოირგო თავის თავზე.

***— ვადამდელი არჩევნების მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება?***

— დღეს ჩვენთვის ვადამდელ არჩევნებზე საუბარი წარმოუდგენელია.

***— თქვენი გეგმა როგორია?***

— ჩვენი გეგმაა, რომ საარჩევნო სისტემა შევცვალოთ. ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით უნდა მოხდეს, მაგრამ არა ამ საარჩევნო სისტემით, რომელიც დღეს ქვეყანაში მოქმედებს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ შეიძლება, ამ სისტემით ქვეყანაში არჩევნები ჩატარდეს. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა ის, რასაც ოპოზიციური სპექტრი გთავაზობთ ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლება აცხადებს, ეს სწორი გადაწყვეტილება შემდეგი არჩევნებისთვის, 2020 წლისთვის მივიღოთო. ეს არის საზოგადოების შეურაცხყოფა, რაც მიუღებელია ჩვენთვის.

***— ამ მოთხოვნაში ნაციონალური მოძრაობაც არის ჩართული, მაგრამ ის ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით გამოდის.***

— ნაციონალურ მოძრაობას თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს, რომელიც სურს, საზოგადოებას შესთავაზოს, მაგრამ ეს არ არის ჩემი დღის წესრიგი, არც ჩემი პარტიის.

***— თქვენი დღის წესრიგი რა არის?***

— ჩვენი დღის წესრიგია ჩვენი პარტიის გაძლიერება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ქვეყანაში კონსტიტუციურ ვადებში არჩევნების ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს საზოგადოების ინტერესებს, ვადამდელი არჩევნები არ უნდა დაინიშნოს. ეს ხელისუფლება რომ შეიცვალოს, საჭიროა სამართლიანი საარჩევნო სისტემა.

***— ხართ მზად იმისთვის, რომ ხელისუფლება შეცვალოთ?***

— ჩვენ ამისთვის ვემზადებით, მაგრამ არა ქუჩის გზით.

***— ქუჩას, როგორც პოლიტიკურ იარაღს, გამორიცხავთ?***

— არავითარ შემთხვევაში. საპროტესტო აქცია, ქუჩაში გასვლა და შენი პროტესტის დაფიქსირება დემოკრატიის სერიოზული ნაწილია და მისი უარყოფა, მით უფრო პოლიტიკოსის მხრიდან წარმოუდგენელიც კი იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ ყველანაირი მექანიზმი, მათ



შორის, ქუჩის აქციებიც გამოვიყენოთ და ამ გზით გავაპროტესტოთ, მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობა.

***— ბატონო ზურაბ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას პრეზიდენტმა მარგველაშვილმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომ ის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკაში აპირებს დარჩენას.***

— ძალიან საინტერესო და კარგი განცხადება იყო. პრეზიდენტის ამ განცხადებას მივესალმები.

***— თანამშრომლობა რამდენად წარმოგიდგენიათ?***

— ჩვენ დღესაც ვთანამშრომლობთ ბატონ პრეზიდენტთან, მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწორედ გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა გაფართოებული ოპოზიციის შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, სადაც საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების აუცილებლობა განვიხილეთ.

***— მე უფრო ფართომასშტაბიან თანამშრომლობას ვგულისხმობ, მაგალითად, იმას, რომ სამომავლოდ თქვენი პოლიტიკური ძალა გახდეს პრეზიდენტის დასაყრდენი.***

— არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ ამას დრო გვიჩვენებს. ეს უფრო დროის ამბავია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# თამაზ მეჭიაური: პენსიების გაზრდა ბიუჯეტს დააწვება“

— პენსიების გაზრდა კიდევ უფრო მეტად იქნებოდა ჩემთვის მისაღები, თუ შესაბამისი ბიუჯეტის კომპონენტები არ დაზიანდებოდა, — განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა 2016 წლის ბიუჯეტზე საუბრისას.

მისი თქმით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი სამი დღის განმავლობაში განიხილავდა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს.

— 20 ოქტომბრისთვის კომიტეტებიდან წარმოდგენილი იქნება შენიშვნები, რომელიც განხილვების შედეგად იქნება თავმოყრილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში და საბოლოო შენიშვნები მთავრობას გადაეგზავნება, — განაცხადა მეჭიაურმა.

მისივე თქმით, ბიუჯეტის განხილვის დროს არის ორი უკიდურესი მიმართულება, ზოგი ამბობს, რომ სოციალურად ორიენტირებულია, ზოგი კი მეტად სოციალურ ბიუჯეტს მოითხოვს.

— მიმაჩნია, რომ პენსიების გაზრდა კიდევ უფრო მეტად იქნებოდა ჩემთვის მისაღები, თუ შესაბამისი ბიუჯეტის კომპონენტები არ დაზიანდებოდა. არც ის არის სწორი, რომ ყველაფერი სოციალურ სფეროში გადმოვქაჩოთ და ამით გამოვიწვიოთ კრიზისი სხვა მხარეს.



ჩვენთვის საბოლოო მიზანი არის ადამიანი, ციფრებით რომ ვიმსჯელოთ, პენსიონერთა რაოდენობა გაიზარდა 40 ათასი კაცით. ეს ნიშნავს იმას, რომ პენსიონერი ხომ არ დაბადებულა? შემოუერთდა პენსიონერთა რიგებს 40 ათასით მეტი, ვიდრე დატოვა — დატოვება ნიშნავს სიკვდილს.

ეს ნიშნავს იმას, რომ სიკვდილიანობა შემცირდა დაახლოებით ამდენით. სიკვდილიანობა რის ხარჯზე შემცირდა? ალბათ, უფრო მეტად ჯანდაცვის გაუმჯობესების ხარჯზე. ე.ი. იმ სახსრებმა, რომლებიც ჩადებული იყო ჯანდაცვაში, მოგვცა ეს შედეგი. ამ შედეგმა მოგვცა ის, რომ 40 ათასით მეტ კაცს უნდა გადავუხადოთ პენსია.

დააწვა ესეც ხომ იმ სოციალურ ხარჯებს? მაგრამ მერე რა, ჩვენთვის ადამიანია მნიშვნელოვანი. შეიძლება, რაღაც ეტაპზე ზრდისგან, თუ არ იქნება ამის საშუალება, თავი შევიკავოთ და არა ჯანდაცვის სახსრები შევამციროთ, — განაცხადა მეჭიაურმა.

მისი თქმით, ბიუჯეტს სჭირდება სიღრმისეული განხილვა და ორი კვირაში იქნება შესაძლებელი, ყველა კითხვას პასუხი გაეცეს.

ინტერპრესნიუსი

# ომარ ნიშნიანიძე: ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მინუსი არაგუნდურობაა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ომარ ნიშნიანიძის მოსაზრებით, „ქართული ოცნების“ მთავარი მინუსი არაგუნდურობაა.

როგორც მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კარგი იქნება, რომ უმრავლესობის ლიდერი მართლაც ლიდერი იყოს.



**ომარ ნიშნიანიძე:**

— მე, მაგალითად, დავით საგანელიძეს მთლად ლიდერად ვერ აღვიქვამდი. ამბობენ, რომ წასულია კაცი და მასზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი, მაგრამ მას გზა მისცეს. არ მაქვს ახლა პრეტენზიები და არაფერს ვიხსენებ, მაგრამ ახალი ლიდერი მართლა ლიდერი უნდა იყოს. წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი და მან მართლაც უნდა ილიდეროს. ის უნდა იყოს ავტორიტეტი, გუნდის შემკვრელი, საქმის მკეთებელი და, რაც მთავარია, გუნდი დეცენტრალიზაციისკენ კი არ უნდა მიჰყავდეს, არამედ უნდა გააერთიანოს. ის უნდა იყოს ლოკომოტივი, რომელიც გუნდს გაქაჩავს. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მინუსი ჩვენი არაგუნდურობაა. ეს იმ დაჩქარებული პროცესების ბრალიც იყო, რომელიც 2012 წელს გამოვიარეთ.

მედიანიუსი

# სოსო ცისკარიშვილი: რუსთავი 2-ის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი საქართველოზე უკვე ასახულია“

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი საქართველოზე უკვე ასახულია.

**სოსო ცისკარიშვილი:**



— ვერ გავაგებინეთ ვერც ევროპელებსა და ვერც ამერიკელებს, რომ ჩვენი მოქალაქეებისათვის სრულიად განსხვავებული ფასეულობებია ტელეკომპანია რუსთავი 2 და მისი გენერალური დირექტორი, რომელიც, ყველას კარგად გვახსოვს, რა ტიპის პროკურორი იყო და როგორ იქცეოდა იმ პერიოდში, როდესაც ტელეკომპანია იმედი ააფეთქეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

აუტკივარი თავი აიტკივეს „მეოცნებეებმა“ — შეიძლებოდა ნებისმიერი პროცესის სამართლებრივ ველში ჩატევა.

მისივე თქმით, სხვაგვარად, უნდა დაველოდოთ იმ პერიოდს, როცა ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში და მერე გავაგრძელოთ ოცნება ევროკავშირსა და ნატოზე.

ნიუსპრესი

# ალექსანდრე ბარამიძე: სუროგაცია მტკივნეული და მოუგვარებელი თემაა“



იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილე ალექსანდრე ბარამიძის შეფასებით, სუროგაცია მტკივნეული და მოუგვარებელი თემაა, მათ შორის კანონმდებლობის კუთხით.

როგორც ბარამიძემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს.

საკომიტეტო სხდომაზე დეპუტატები ჩვილი ბავშვების საქართველოდან გაყვანის საკითხით დაინტერესდნენ. ამ კონტექსტში ყურადღება ბარამიძემ სუროგაციის საკითხზე გაამახვილა.

**ალექსანდრე ბარამიძე:**

— ის, რაც იუსტიციის სამინისტროს შეუძლია, საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობაა. მეორეა ის, რომ სამოქალაქო რეესტრი და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გასცემს შესაბამის დოკუმენტაციას, რომლის გარეშეც ამ ქვეყნიდან ვერავინ გავა — გარდა იმისა, რაიმე ფარული, ბნელი მეთოდებით თუ არ მოხდა. სხვა მხრივ, ლეგალურად, ოფიციალურად ვერ გაიყვან. ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ საკმარისად გამკაცრებულია მიდგომები, რომ არ მოხდეს დოკუმენტების გაცემა.

მეორე მხრივ, საკანონმდებლო ბაზაც საჭიროა. რაც შეეხება სუროგაციას, საკმარისად მტკივნეული და მოუგვარებელი თემაა, მათ შორის კანონმდებლობის კუთხით. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ.

იმედი გვაქვს, ბოლოს და ბოლოს მივალთ გარკვეულ საერთო ნიშნულებამდე ჯანდაცვის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, რომ სუროგაციის სფეროც მოწესრიგებულ სისტემებსა და ნორმებში მოექცეს.

ინტერპრესნიუსი

# თუშეთის გზაზე მეწყერი ჩამოწვა. ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია



ძლიერი წვიმის შედეგად თუშეთთან დამაკავშირებელ ფშაველი-ომალოს საავტომობილო გზის რამდენიმე მონაკვეთზე მეწყერი ჩამოწვა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა განუცხადა, უღელტეხილზე გადაუღებლად თოვდა და, ამინდი თუ გაუმჯობესდა, გზა, სავარაუდოდ, 9 ოქტომბერს გაიხსნება.

— გადაუღებელი წვიმების შედეგად სამხევის მონაკვეთზე კლდე ჩამოიშალა და გზა ჩაკეტა. უღელტეხილზე ახლაც გადაუღებლად თოვს. გზის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს და, თუ ამინდი არ გაუარესდა, გზა ხვალ გაიხსნება, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ბექა ბაიდაურმა.

ფშაველი-ომალოს გზა ერთადერთი საავტომობილო გზაა, რომელიც თუშეთს ბართან აკავშირებს. უამინდობისა და დიდთოვლობის გამო გზა ოქტომბრის შუა რიცხვების შემდეგ იკეტება ხოლმე და მაისამდე თუშეთთან დაკავშირება მხოლოდ ვერტმფრენით არის შესაძლებელი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ცხინვალის მთავრობას სექტანტები დაეპატრონნენ

## მოსახლეობა რადიკალური ზომების მიღებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

„ახალი თაობა" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთში რელიგიური სექტების შემოსევაა. ამ მხრივ გაცილებით შავად არის საქმე ცხინვალის რეგიონში, იმდენად რთულად, რომ აქაური ახალგაზრდობა რელიგიურ სექტებს ისეთივე პრობლემად მიიჩნევს, როგორებიცაა ნარკომანია და ალკოჰოლიზმი.

აქაური კანონმდებლობით რელიგიურ სექტებს რესპუბლიკაში საქმიანობა ეკრძალებათ. ამის მიუხედავად, სექტანტები თავს შესანიშნავად გრძნობენ და ცხინვალის მთავრობაშიც მყარად მოუკიდებიათ ფეხი.

როგორც ოსური მედია იუწყება, დღევანდელი მდგომარეობით, რელიგიურმა სექტებმა რესპუბლიკის 2.000-ზე მეტი მოქალაქე ჩაითრიეს.

ადგილობრივებს ყველაზე მეტად ის აშფოთებთ, რომ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები არასრულწლოვნების გადაბირებაზეც გადავიდნენ. როგორც აქაურები ამბობენ, სექტებში 15 წლის მოზარდებიც წევრიანდებიან.



ცხინვალელთა ცნობითვე, სექტებს საქმიანობაში ისიც უწყობს ხელს, რომ მათ წარმომადგენლებს რესპუბლიკის ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალი პოსტები უკავიათ.

ადგილობრივები „ჭეშმარიტ ღმერთზე" საუბრით ისე შეღონდნენ, რომ სექტების გარშემო ხელისუფლების წარმომადგენლებთან დისკუსიის გამართვა მოითხოვეს. შეხვედრის ინიციატივა ცხინვალელი ახალგაზრდებისგან მოდიოდა.

რელიგიურ მიმდინარეობებთან დაკავშირებით იქ რაც ითქვა, ჩვენმა არასამთავრობოებმა და უჩა ნანუაშვილმა რომ გაიგონ, თმა სულ ყალყზე დაუდგებათ. ცხინვალელები კი ამ შეფასებებს ლამის ტაშის გრიალით შეხვდნენ.

ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდობა შეთანხმდნენ, რომ ალკოჰოლი, ნარკოტიკები და სექტები რესპუბლიკის მოსახლეობაზე დამღუპველად მოქმედებენ.

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, რესპუბლიკის ისედაც მცირერიცხოვანი მოსახლეობა ყოველგვარი მავნე ზემოქმედებისაგან უნდა იყოს დაცული. მათი თქმით, ახალგაზრდობის გადასარჩენად ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და სექტების თარეში საფუძველშივე უნდა იქნას აღმოფხვრილი.

მოგეხსენებათ, სამხრეთელ ოსებს ყველაფერში რუსების იმედი აქვთ. ჰოდა, სჯერათ, რომ ამ 3 სენთან ბრძოლაშიც მათ მოსკოვი დაეხმარება.

ოსური მედიის ცნობით, რესპუბლიკაში სექტანტების რიცხვი ათჯერ აღემატება ნარკომანთა რაოდენობას. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ნარკომანების განკურნების შანსი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ახალგაზრდების სექტებიდან გამოხსნა.

საინტერესოა, როგორ ახერხებენ რელიგიური მიმდინარეობები ცხინვალის რეგიონის ასე მარტივად დაპატრონებას. აქაური კანონებით, რელიგიურ მიმდინარეობებს რესპუბლიკაში საქმიანობა ეკრძალებათ.

კანონის ძალით აკრძალულები მიწისქვეშეთში მოქმედებენ და თავიანთ საქმეს ძალიან კარგად აკეთებენ.

რელიგიის საკითხებში რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენლის სონი ხუბაევას თქმით, ბოლო წლებში სექტანტთა ასაკი გაახალგაზრდავდა. ადრე თუ რელიგიურ მიმდინარეობებში ასაკოვანი ხალხი შედიოდა, ახლა იქ გაწევრიანების სურვილს 15-დან 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა გამოთქვამს.

ყველაზე მეტად ცხინვალელები იეღოვას მოწმეებმა შეაშფოთეს. ხუბაევას თქმით, ისინი ამერიკიდან საკმაოდ კარგად ფინანსდებიან.

ისევე, როგორც ჩვენთან, იეღოვას მოწმეები იქაც ლიტერატურის დარიგებით არიან დაკავებული. ცხინვალელთა გაოგნებას იწვევს ის გარემოებაც, რომ რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები „ჭეშმარიტ ღმერთზე" სასაუბროდ მათთან სახლში დაუპატიჟებლად მიდიან.

— რესპუბლიკის კანონმდებლობით ჩვენთან სექტების საქმიანობა იკრძალება. არცერთი მათგანი არ არის დარეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში. აქედან გამომდინარე, ისინი უკანონოდ საქმიანობენ. სამართალდამცავ სტრუქტურებს მათი ოფისების დალუქვის სრული უფლება აქვთ, — აღნიშნავს „სპუტნიკთან" საუბარში სონი ხუბაევა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები ხელისუფლების ზედა ეშელონებშიც ყოფილან. ისინი ამ მიმდინარეობებს მფარველობენ და ყველაფერს აკეთებენ, რომ მათ რაიმე პრობლემები არ შეექმნათ.

ცხინვალელები აღშფოთებული არიან იმით, რომ იეღოვას მოწმეები ჯარში არ მიდიან და, შესაბამისად, უარს ამბობენ სამშობლოს დაცვაზე. მოგეხსენებათ, ეს მიმდინარეობა რაიმე სახის სამედიცინო ჩარევას კრძალავს, რაც სამხრეთელი ოსებისთვის გაუგონარია. მათი თქმით, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, მომაკვდავ ადამიანს არ დაეხმარო.

სექტებმა აქაურ პედაგოგებსაც მიაკითხეს და მუსიკალური სასწავლებლის ერთი მასწავლებელიც გადაიბირეს. ამ მასწავლებელს კი ერთ იუბილეზე უარი განუცხადებია იმ მუსიკალური ნაწარმოების შესრულებაზე, რომელიც სამშობლოს დამცველებს ეძღვნებოდა.

— ეს ქმედება უკვე საზოგადოების გამოწვევაა და ამაზე აუცილებლად უნდა მოხდეს რეაგირება, — აცხადებს რელიგიურ საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენელი.




ცხინვალის რეგიონში საკმაოდ მყარად მოიკიდეს ფეხი ე.წ. ნეოორმოცდაათიანელებმაც. სონი ხუბაევას თქმით, ხალხის მისაზიდად სექტამ მოდერნიზაცია განიცადა.

— ახლა ამ მიმდინარეობის წევრ ქალებს შარვლის ტარების უფლებაც მისცეს. მათ ასევე შეუძლიათ, გამოიყენონ კოსმეტიკა. ადრე ეს აკრძალული იყო, — აღნიშნავს ხუბაევა.

ადგილობრივი ჟურნალისტი მადინა ვალიევა, რომელიც იმავდროულად პარტია „ერთიანი ოსეთის" წევრია, სექტების აყვავებას ხელისუფლებას აბრალებს.

— რესპუბლიკაში მოქმედ სექტებთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული მასალები მოვიპოვე. ძალიან საინტერესო რეპორტაჟი გამოვიდა, მაგრამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ჩარევის შედეგად მასალა ეთერში არ გავიდა, — ამბობს მადინა ვალიევა.

რელიგიურ საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენლის თქმით, რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლები თითქმის ყველა სამინისტროში არიან.

ის სახელისუფლებო სტრუქტურებს მოუწოდებს, მოიქცნენ ისე, როგორც ცოტა ხნის წინ განათლების მინისტრი მოიქცა.

— ამ უწყებაში მინისტრის მოადგილე თანამდებობიდან იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ის ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის წევრი იყო. — აღნიშნავს სონი ხუბაევა.

სექტების შემოსევას ცხინვალელები სხვადასხვანაირად ხსნიან. ამ რეგიონში რელიგიური საკითხები კარგად არ არის მოგვარებული და დღემდე გაურკვეველია, ვის ექვემდებარება ადგილობრივი ეკლესია. აქაურები ამბობენ, რომ სასულიერო პირების ნაკლებობის გამო რეგიონში სულიერების ვაკუუმი შეიქმნა, რაც სხვადასხვა მიმდინარეობამ ამოავსო.

სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარე სოსლან პლიევი სათანადო სტრუქტურებს დასავლურ სექტებთან სერიოზული ბრძოლისკენ მოუწოდებს. ამ ახალგაზრდა კაცის თქმით, მიმდინარეობებს რესპუბლიკისთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ.

— უკრაინაში კრიზისი სწორედ სხვადასხვა სექტის წარმომადგენლებმა შექმნეს, — ამბობს სექტებისგან შეშინებული სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე.

ადგილობრივები ხელისუფლებისგან ითხოვენ, ყველაფერი გააკეთონ, რათა რესპუბლიკაში მართლმადიდებლური რელიგია გაძლიერდეს. განათლების სამინისტროს სთხოვენ, სასკოლო საგნებს დაემატოს რელიგიის სწავლებაც.

ადგილობრივი ახალგაზრდები შეთანხმდნენ, რომ რელიგიური მიმდინარეობების წევრების გამოაშკარავებას დაიწყებენ. ასევე იგეგმება იმ თანამდებობის პირების გადაყენება, რომლებიც სექტებთან კავშირში იქნებიან შემჩნეული.

ამ მიმართულებით თუ კარგად წავიდა მუშაობა, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს წასვლა მოუწევს. ცხინვალში არ გამორიცხავენ, რომ რელიგიურ ორგანიზაციებში კიდევ რამდენიმე მინისტრის მოადგილე იყოს გაწევრიანებული.

# კრწანისის გამგეობა სამეფო ძროხაში" 17.000 ლარს იხდის

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქი თბილისობისთვის ემზადება. მერიის გარდა, საზეიმო ღონისძიებების გამართვა რაიონის გამგეობებსაც ევალებათ. ამ მხრივ კრწანისის გამგეობამაც გამოიჩინა თავი და გადაწყვიტა, მოსახლეობას სიურპრიზი შესთავაზოს. ისინი კრწანისელებს თბილისობაზე „სამეფო ძროხითა" და „კოსმოსური სტუმრებით" გაახარებენ.

საზეიმო ღონისძიებების გამართვის მიზნით გამგეობამ ტენდერიც გამოაცხადა. არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის" ერთ-ერთი დამფუძნებლის თეონა ჭალიძის ინფორმაციით, თბილისობის აღნიშვნა 17.000 ლარი უჯდებათ.

— საზეიმო ღონისძიებების ჩატარებაზე გამოცხადებულია ტენდერი. ტენდერის პირობების თანახმად, გაიმარჯვებს ის კომპანია, რომელსაც „სამეფო ძროხისა" და „კოსმოსური სტუმრების" წარმოდგენა შეეძლებათ. სავარაუდოდ, ტენდერი მორგებულია ერთ კონკრეტულ კომპანიაზე, რომელიც ამ პირობების დაკმაყოფილებას შეძლებს, — განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბარში თეონა ჭალიძემ.

კრწანისის გამგეობის მიერ გამოცხადებული ტენდერი „მედიატორის" დამფუძნებელს გასულ წელს დედაქალაქის საკრებულოს მიერ გამოცხადებულ სპექტაკლს აგონებს.

— შარშან საკრებულომ საახალწლო ღონისძიებებისთვის გამოაცხადა ტენდერი, რომლის პირობების თანახმად, საბავშვო ღონისძიებებს ჩაატარებდა ის კომპანია, რომელსაც ეყოლებოდა ვარდისფერი დათვი და შავი სპაიდერმენი. ვარდისფერი დათვი წარმოუდგენელი რამ არის. ასეთი დათვი მხოლოდ ერთ დაბადების დღის ცენტრს ჰყავს, რომელმაც გაიმარჯვა კიდევაც ტენდერში, — ამბობს „მედიატორის" წარმომადგენელი.

მისი განცხადებით, ორგანიზაცია რაიონების მიერ გამოცხადებული სხვა ტენდერების მონიტორინგსაც ახორციელებს.

— თბილისობის შემდეგ ძალიან საინტერესო ფაქტებს გამოვაქვეყნებთ, — განაცხადა ჭალიძემ.

სკანდალური ტენდერები გამგეობებს არც თბილისობამდე აკლდათ. ამ ტენდერებზე არაერთი განცხადება გაკეთდა. მათზეა გამახვილებული ყურადღება აუდიტის სამსახურის დასკვნაში. აუდიტის სამსახურმა სკანდალური დასკვნა 7 ოქტომბერს გამოაქვეყნა.



„მედიატორის" მიერ განხორციელებული კვლევებიდან კი ვიგებთ, რომ ისნის, დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობების მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კონცეპტი" გახდა, რაც კითხვებს ბადებს. ეჭვების მიზეზი კომპანიის წარმომავლობაა.

— სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია ისიც, რომ ისნის რაიონში მინიფეხბურთის ორგანიზატორი ჯაბა ჯიშკარიანია, რომელიც „ოცნების" საკრებულოს დეპუტატი და ავლაბრის მაჟორიტარ დეპუტატ ილო ჯიშკარიანის შვილია. ძალიან მნიშვნელოვანი ისიც, რომ ამავე დოკუმენტაციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, ორგანიზატორის ხელფასი შეადგენს 1.000 ლარს, — ამბობს „მედიატორის" წარმომადგენელი.

მისი თქმით, ძალიან კარგია, რომ საკრებულოს წევრები დედაქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე ზრუნავენ, მაგრამ ამის ხარჯზე თავად არ უნდა იშოვონ ფული.

— იმ დროს, როცა ქვეყანაში ასეთი რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისთვის არ იყო საჭირო დამატებითი ხარჯების გაღება, ვინაიდან მერიას აქვს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, რომელსაც 40 მილიონზე მეტი აქვს ბიუჯეტი და ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც ყოველთვიურად სწორედ იმაში იღებენ ხელფასებს, პრემიებსა და დანამატებს, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებების ორგანიზება გააკეთონ. გამგეობებს დამატებით არ უნდა სჭირდებოდეთ ორგანიზატორების ქირაობა მინიფეხბურთის, ფრენბურთისა თუ შაშის ჩემპიონატის ორგანიზებისთვის. მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებაში ათიათასობით ლარი არ უნდა იხარჯებოდეს. ბევრი გაჭირვებული მოქალაქე გვყავს და აღნიშნული თანხები სწორედ მათ უნდა ხმარდებოდეს, — ამბობს თეონა ჭალიძე.

მისი განცხადებით, ამ საქმით საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ. თავის მხრივ, „მედიატორი" მზადაა, სათანადო ორგანოებს შესაბამისი დოკუმენტაცია მიაწოდოს.

მერიაში არსებულ ვითარებაზე უკმაყოფილებას უკვე დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობის წევრებიც გამოხატავენ.

თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე არ მალავს, რომ მერიის საქალაქო სამსახურების მუშაობით უკმაყოფილოა.

ზუმბაძე მიიჩნევს, რომ მერიასა და გამგეობებში ტენდერები არასათანადოდ ტარდება.

— რასაც ვეთანხმები, ეს აუდიტის დასკვნაა. მე, როგორც ერთ დეპუტატს, მაქვს განცდა იმისა, რომ ტენდერები არასათანადოდ ტარდება როგორც მერიაში, ისე გამგეობების მხრიდან, — განაცხადა ზუმბაძემ.

# იტალიის პარლამენტი სამხრეთი ოსეთის აღიარების საკითხს განიხილავს

შორენა მარსაგიშვილი

## რას დაჰპირდა „ჩრდილოეთის ლიგა“ ცხინვალის ხელისუფლებას

ცხინვალი საქართველოს ხელისუფლებას უსიამოვნო სიურპრიზს უმზადებს. ოსური მედიის ცნობით, იტალიის საპარლამენტო პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“ სამხრეთი ოსეთის აღიარების საკითხის განხილვას აპირებს.

ეს საქმე სამხრეთელ ოსთა პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვმა გაჩარხა. ეს უკანასკნელი პარტია „ერთიანი ოსეთის“ წევრებთან ერთად იტალიაში იმყოფებოდა.

ოსური დელეგაცია იტალიაში მოქმედ ოპოზიციურ-სეპარატისტულ პარტია „ჩრდილოეთის ლიგას“ ძალიან დაუახლოვდა. იმდენად დაახლოვდნენ, რომ ბიბილოვმა მათ შტაბბინაშიც კი შედგა ფეხი.

ანატოლი ბიბილოვს თუ დავუჯერებთ, „ჩრდილოეთის ლიგა“ იტალიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ოსების მტკიცებით, მათთან დამეგობრებულები იტალიის საკანონმდებლო ორგანოშიც დიდი გავლენით სარგებლობენ. „ჩრდილოეთის ლიგა“ ევროპარლამენტშიც ყოფილა წარმოდგენილი.

ამ პარტიას, ჩვენებური ოსებისა არ იყოს, ავი ზრახვები უდევს გულში და იტალიის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს — პადანიას შექმნას ითხოვს.


ანატოლი ბიბილოვი და მატეო სალვინი

— ჩვენ შორის ბევრი განსხვავებაა, მაგრამ საერთოც ბევრი გვაქვს. ჩვენ ვიბრძვით გლობალიზაციის წინააღმდეგ და მივიჩნევთ, რომ ყველაზე პატარა ერებსაც კი აქვთ თვითგამორკვევის უფლება, — აღნიშნა ოსურ მედიასთან საუბარში ბიბილოვმა.

სამხრეთელ ოსთა დელეგაციის წევრებმა „ჩრდილოეთის ლიგის“ თავკაც მატეო სალვინის თავიანთი ისტორია უამბეს და დეტალებში ჩაარაკრაკეს, როგორ იბრძოდნენ „თავისუფლებისთვის“.

გააცნეს რა თავიანთი ტანჯული ცხოვრება, სამხრეთელმა ბიბილოვმა ჩრდილოელ სალვინის სთხოვა, ეგება, იტალიის პარლამენტში ჩვენი აღიარების საკითხი დააყენოთო.

„ჩრდილოეთის ლიგა“ მათ გვერდში დგომას დაჰპირდა. ამ დაპირებით ფრთაშესხმული ოსები ცხინვალში გაბადრულები დაბრუნდნენ და დოკუმენტების მოგროვება დაიწყეს.



— სამხრეთი ოსეთის პარლამენტმა დაიწყო დოკუმენტაციის მოძიება, რომლის თანახმადაც, რესპუბლიკა იმსახურებს აღიარებას. ამ დოკუმენტებს იტალიურად ვთარგმნით და ჩვენს მეგობრებს გავუგზავნით, — განაცხადა ოსურ მედიასთან საუბარში ბიბილოვმა.

მისი თქმით, „ჩრდილოეთის ლიგა“ მათი აღიარების საკითხს აუცილებლად დააყენებს, მაგრამ, რამდენად დაუჭერს მხარს მას მთელი პარლამენტი, არ იცის.

— ეს საკითხი პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით უნდა გადაწყვიტოს. „ჩრდილოეთის ლიგა“ არ არის უმრავლესობაში. ამდენად, ჩვენი ბედი მხოლოდ მათზე არ არის დამოკიდებული, — ამბობს ოს კანონმდებელთა წინამძღოლი.

ცნობისთვის, ჩრდილოეთ იტალიაში საკმაოდ ძლიერია სეპარატისტული განწყობა. ისინი ფიქრობენ, რომ სამხრეთი იტალია მათ ხარჯზე ცხოვრობს. სეპარატისტული მოძრაობა „ჩრდილოეთის ლიგა“ ჩრდილოეთ იტალიაში არჩევნებზე რეგულარულად იღებს ამომრჩეველთა ხმების 20%-ს.

# დაცვის თანამშრომელმა მეხუთეკლასელის გაუპატიურება ცადა?!




ქუთაისის №7 საჯარო სკოლის დაცვის კერძო სამსახურის თანამშრომელს ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი სასტიკად გაუსწორდა.

ახალგაზრდა მამაკაცი კერძო დაცვის თანამშრომელს მისი 11 წლის ქალიშვილის გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებდა.

დაცვის თანამშრომელი მრავლობითი დაჟეჟილობით საავადმყოფოში იმყოფება.

გავრცელებული ინფორმაციით, მეხუთეკლასელ გოგონას კერძო დაცვის თანამშრომელმა ინტიმური კავშირი საღამოს საათებში შესთავაზა, როცა მოზარდი ცეკვის წრიდან სახლში ბრუნდებოდა.

„ნიუპოსტი“ დეტალების გარკვევას ქუთაისის №7 საჯარო სკოლის დირექტორ ენდი ნემსვერიძესთან შეეცადა.

დირექტორის თქმით, სექსუალური კავშირის შეთავაზებას ადგილი არ ჰქონია, გოგონა კი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს სწავლას.

— არანაირად არ შემიძლია დავადასტურო, რომ ეს ასე მოხდა, რადგან არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. მსგავსი რამ არ მომხდარა, ფაქტი არ მინახავს, ფაქტს არ შევსწრებივარ, — განუცხადა „ნიუპოსტს“ სკოლის დირექტორმა.

ენდი ნემსვერიძე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ესაუბრა და გავრცელებული ინფორმაციის გარკვევას შეეცადა.

სკოლის დირექტორმა ჩვენთან საუბრისას არც დაცვის თანამშრომლის ცემის ფაქტი დაადასტურა.

— მე იმ დაცვის თანამშრომელს არც კი ვიცნობ. ის არ არის ჩემი თანამშრომელი. მე ორგანიზაციასთან მაქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ემსახურება სკოლას. ცემის ფაქტის დადასტურება არ შემიძლია. კერძო დაცვის თანამშრომელი როცა ერთ დღეს მუშაობს, ოთხს ისვენებს. შესაბამისად, არ ვიცი, არის თუ არა ეს ახალგაზრდა საავადმყოფოში, — აღნიშნა სკოლის დირექტორმა.

„ნიუპოსტის“ კითხვაზე, რატომ არ დაინტერესდა სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლის მიმართ გარყვნილი ქმედების შეთავაზების ნამდვილობით, ენდი ნემსვერიძემ გვითხრა, რომ ის დირექტორია და არა გამომძიებელი.

— აბსურდით რანაირად დავინტერესდე? ხელმოსაჭიდი არაფერი მაქვს, ამ პრეტენზიით მშობელი არ მოსულა, არც ბავშვს უთქვამს ჩემთვის რამე, არავინ არაფერს ამბობს, ჟურნალისტების გარდა. გამოძიება ჩავატარო? სკოლაში სიმშვიდეა, სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს... მე არ ვარ გამომძიებელი, — აღნიშნა სკოლის დირექტორმა.

„ნიუპოსტი“ შს სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელს დაუკავშირდა, რომლის თქმით, ბავშვის გაუპატიურების მცდელობის, სექსუალური კავშირის შეთავაზების შესახებ პოლიციაში ინფორმაცია არ შემოსულა.

შს სამინისტროს თანამშრომლის ინფორმაციით, პოლიციაში შეტყობინება მოქალაქის ცემის ფაქტზე შევიდა.

— ადგილზე მისულ პოლიციას დახვდა მამაკაცი, რომელსაც სხეულზე დაზიანება აღენიშნებოდა. შესაბამისად, გამოძიება ცემის ფაქტზე — 125-ე მუხლით დაიწყო. საქმეში ბავშვი საერთოდ არ ფიგურირებს, — აღნიშნავენ შს სამინისტროში.

ნიუსპოსტი

# იან კელი რუსთავი 2-ის ხელმძღვანელებს შეხვდა



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩი იან კელი 8 ოქტომბერს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ელჩის მიერ გაკეთებული კომენტარი საქართველოში აშშ-ის საელჩომ გაავრცელა.

— მე რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობას შევხვდი, რათა გამეგო უფრო მეტი იმ სასამართლო საქმის შესახებ, რომელიც ტელევიზიის ფინანსურ მდგრადობაზე ახდენს გავლენას. მე დავარწმუნე რუსთავი 2, რომ აშშ-ის საელჩო მოვლენებს ყურადღებით აკვირდება.

შეერთებული შტატების მთავრობას ხშირად აღუნიშნავს საქართველოს ღია მედიაგარემო, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება რეგიონში სანიმუშოდ აღიარებს.

ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც ისე ჩანს, რომ ზღუდავს მედიის თავისუფლებასა და მედიამრავალფეროვნებას, სერიოზულად აღვიქვამთ. ჩვენ უკვე გავუზიარეთ ჩვენი შეშფოთება საქართველოს მთავრობას. ნებისმიერი დემოკრატიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი, პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა. მედიამრავალფეროვნება არანაკლებ მნიშვნელოვანია. როგორც თავის დროზე ამერიკის კონსტიტუციის შემქმნელებმა გვასწავლეს, მთავრობის უპირველესი ამოცანაა ჩვენი თავისუფლების დაცვა, ჩვენი თავისუფლება კი თავისუფალ, შეუზღუდავ და მრავალფეროვან მედიას ეფუძნება, — განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა.

ინტერპრესნიუსი

# 2008 წლის აგვისტოს ომი, შესაძლოა, ჰააგის სასამართლომ გამოიძიოს

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, შესაძლოა, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოიძიოს.

როგორც სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოში ვითარების წინასწარი შესწავლა 2008 წლის აგვისტოში დაიწყო.

შედეგების თანახმად, პროკურორმა ფატუ ბენსუდამ დაასკვნა, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ 2008 წლის 5-დღიანი ომის დროს საქართველოში სამხედრო დანაშაულია ჩადენილი.

სრულფასოვანი გამოძიების დასაწყებად პროკურორმა წინასწარი წარმოების პალატის ნებართვა უნდა მიიღოს.

ფატუ ბენსუდას განაცხადის მიღების შემდეგ მოსამართლეები მიღებულ დოკუმენტებსა და სხვა მასალაზე დაყრდნობით გადაწყვეტენ, დაიწყოს თუ არა გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ 6 ოქტომბერს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მასალები რუსეთიდან გამოითხოვა.

ნიუსპოსტი

# ბიძინა ივანიშვილი აფხაზეთში უძრავ ქონებას ყიდულობს



ოკუპირებული აფხაზეთის ყოფილ დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის პროგრამა თუ მართლაც არსებობს, ის არარეალურია.

ამის შესახებ შამბამ sukhum-moscow.ru-სთან ინტერვიუში, იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მეცნიერები საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების მასობრივად შესყიდვის მიზნით ფონდის შექმნაზე და რამდენად რეალურია ეს გეგმა?

— ვერ გამოვრიცხავ, რომ ვინმემ განახორციელოს შესყიდვების ასეთი აქციის ორგანიზება. მაგრამ მე არ მესმის, რომელიღაც ქართველი როგორ იყიდის აფხაზეთში უძრავ ქონებას. შემდგომში რას უზამს ამ ქონებას? დასასვენებლად ჩამოვა აქ თუ საცხოვრებლად? ეს არარეალური პროგრამაა, თუ ის მართლაც არსებობს. ქართველები იარაღით ხელში ვერ დამკვიდრდნენ აქ და იარაღის გარეშე როგორ იცხოვრებენ? — განაცხადა სერგეი შამბამ.

ბიძინა ივანიშვილის ინტერესზე, აფხაზეთში უძრავი ქონება შეიძინოს, აფხაზი მკვლევრები მიმდინარე წლის აგვისტოში აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზეც საუბრობდნენ.

— რუსეთს არ აქვს სურვილი, ახალი ტერიტორიები აითვისოს და აფხაზეთში უძრავი ქონება შეისყიდოს. მას თავისი მიწებიც ჰყოფნის, სამაგიეროდ, ასეთი მოთხოვნილება აქვს მილიონნახევრიან ქართულ დიასპორას, რომელიც რუსეთში ცხოვრობს. შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა ფონდი და გამოაცხადა, რომ მზადაა, ამ ფონდში მილიარდი დოლარი შეიტანოს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის მიზნით, — განაცხადა ისტორიკოსმა თემურ აჩუგბამ.

მედიანიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

[illegible]

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

[illegible] 3-5 სმ-ის მომატებით [illegible]

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სოციალური საწარმოები შეიძლება დაიხუროს



არასამთავრობო სექტორი სახელმწიფოსგან სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერას ითხოვს.

დღეისთვის პანკისის ხეობაში სამი სოციალური საწარმო ფუნქციონირებს: ხანდაზმულთა შინ მოვლის ცენტრი, საკვირაო სკოლა და შშმ პირთა დღის ცენტრი. საწარმოების მიზანი სოფლად მცხოვრები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის დასაქმება და მათთვის საჭირო სერვისების უსასყიდლოდ შეთავაზებაა. სოცსაწარმოებს გამართულად მუშაობისთვის სახელმწიფოსგან ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებათ.

ადგილობრივი ხელისუფლება კი მწირი ბიუჯეტის ფონზე ხელმომჭირნე გახდა. ამიტომ, სიტყვიერი დაპირებების მიღმა საქმე წინ არ წასულა. მიუხედავად ამისა, პროექტის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტილებას პროექტის სასარგებლოდ მიიღებს.

მიმდინარე წელს პანკისში სამი სოციალური საწარმო გერმანული ორგანიზაცია არბაიტერ-სამარიტე-ბუნდისას (ASB-საქართველო) სოციალური პროგრამის მხარდაჭერით გაიხსნა.

ორგანიზაციას საგრანტო თანხა წლის ბოლოს ეწურება და ამ პროექტების შემდგომი ფუნქციონირება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. იმისათვის, რომ მუშაობა გააგრძელონ, სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო.

**გულნაზ გუნაშაშვილი, პანკისის „საკვირაო სკოლის“ ხელმძღვანელი:**

— ამ პროექტის გაგრძელება აუცილებელია, რადგან აქაური ბავშვებისთვის ეს ერთადერთი გასართობია, სადაც თამაშთან ერთად სწავლობენ, ფილმებს უყურებენ, ექსკურსიაზე დადიან და მათი თვალსაწიერი იზრდება.

ძალიან მინდა და ეს ბავშვების სურვილიც არის, რომ ჩვენი სკოლა არ დაიხუროს. უნდა ნახოთ შაბათ-კვირას აქ რა ჟრიამულია. სოფელში ერთი სკოლა გვაქვს, სხვა წასასვლელი ამ ბავშვებს არსად აქვთ.

**გიორგი არსანიძე, ASB-საქართველო-ს კოორდინატორი:**

— საქართველოში ეს არის სოციალური პარტნიორობის პირველი ნაბიჯები არასამთავრობო სექტორსა და სახელმწიფოს შორის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უცხოა. პრაქტიკულად, უფრო მეტი წარუმატებლობაა, ვიდრე წარმატება. თუმცა, ერთი წარმატებული მაგალითიც კი საკმარისია იმისათვის, რომ შემდეგი პროექტები დავაფინანსოთ.

სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, პანკისში საკმაოდ პესიმისტური განწყობაა. თუმცა, აქტიურად ვცდილობთ ახმეტის მუნიციპალიტეტმა მზაობა გამოიჩინოს, რომ რაღაც ნაწილში მაინც თანადაფინანსება მოხდეს და ეს საწარმოები არ დაიხუროს. მსგავსი სოციალური საწარმოები სამეგრელოსა და ქვემო ქართლშიც დავაფინანსეთ. პროექტის დასრულების შემდეგ ზოგი სოცსაწარმო სახელმწიფომ გადაიბარა.

ამ პროექტის მიზანიც ეს არის, რომ სერვისები სახელმწიფომ გადაიბაროს ანუ სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა შედგეს.

ზოგადად, მსოფლიოში სოციალური მეწარმეობის მიმართ ინტერესი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან ის ერთდროულად მოიცავს სოციალური მიზნისკენ სწრაფვასა და ბიზნესის ტიპის საქმიანობას.

სოციალური მეწარმეობა ანუ ბიზნესმიდგომა სოციალური მიზნებისთვის, ასეთია მისი მოკლე განმარტება, ჩვენი ქვეყნისთვის ახალი ხილია.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორის ზოგი წარმომადგენელი ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტების განხორციელებასა და სახელმწიფოს გააქტიურებას ცდილობს, ეს მაინც არ არის საკმარისი.

ამ მიზნით, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა კანონპროექტი შეიმუშავა, რომელიც განსახილველად პარლამენტმა უკვე მიიღო. საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის სამართლებრივი საფუძვლები შეიქმნას.

სტატისტიკის არარსებობის გამო რთულია იმის თქმა, რამდენი სოციალური საწარმოა საქართველოში.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი, ეკა დათუაშვილი ამბობს, რომ მოქმედი კანონმდებლობით სოციალური საწარმო და სტანდარტული ბიზნესი, რომელიც მხოლოდ მოგებაზეა ორიენტირებული, ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, რაც არასამართლიანია.

**ეკა დათუაშვილი:**

— სოციალური საწარმოს ძირითადი მიზანია სოციალური პრობლემის მოგვარება, ხოლო ჩვეულებრივი საწარმო მოგებაზე, ბიზნესის წილის მფლობელების პირად ინტერესებზეა მორგებული.

სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხარდაჭერა აუცილებელია. თუმცა, ეს არ გულისხმობს მხოლოდ საგადასახადო შეღავათებს, არამედ ამ მიმართულების პოპულარიზაციას, ფინანსებზე განსხვავებულ ხელმისაწვდომობას, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მხარდაჭერას და სხვა. იმისათვის, რომ მსგავსი მხარდაჭერის პროგრამები შევიმუშაოთ, აუცილებელია სოციალური საწარმოსა და ჩვეულებრივი ბიზნესის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ჩვენ მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივის მიზანიც ეს არის, რომ კანონში გაჩნდეს ჩანაწერი და განიმარტოს რა არის სოციალური მეწარმეობა.

არსებული კანონმდებლობით, სამეწარმეო საქმიანობისთვის გრანტი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სასწავლო დაწესებულებებისთვის გაიცემა. ზემოთ ხსენებული საკანონმდებლო ინიციატივა კი, სოციალური საწარმოებისთვის გრანტის გაცემასაც ითვალისწინებს.

— კანონპროექტში განმარტებულია მოგების კრიტერიუმი — სოციალურმა საწარმომ მოგების 70% კვლავ საწარმოს განვითარებას უნდა მოახმაროს, ანუ მოგების რეინვესტირება სოციალურ მიზნებში უნდა მოახდინოს. სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც სოციალური მეწარმეობა განვითარებულია, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაც მაღალია. ჩვენ მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა პარლამენტის ორ კომიტეტში მიმდინარეობს — დარგობრივი ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტოში, — ამბობს დათუაშვილი.

ბიპიენი

## კახი კალაძე: ზამთარში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება არ იგეგმება“

— ზამთარში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება არ იგეგმება, — განუცხადა ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

მისივე განმარტებით, გარკვეული ჯგუფების მიერ გავრცელებული შესაბამისი ინ-



ფორმაცია არის „ძალიან დიდი ტყუილი“.

— შემოდგომა-ზამთრის მოსამზადებელი სამუშაოები მიდის ისე, როგორც გათვალისწინებული იყო.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ გარკვეული დაჯგუფებების მხრიდან მიზანმიმართულად ისმოდა ინფორმაციები, თითქოს მოსახლეობას ელექტროენერგია ზამთარში გრაფიკით მიეწოდებოდა.

ეს არის ძალიან დიდი ტყუილი, ძალიან დიდი სიცრუე. არანაირი გრაფიკით ელექტროენერგიის მიწოდება არ იგეგმება.

ჩვეულებრივ, 24-საათიან, უწყვეტ რეჟიმში მოხდება ელექტროენერგიის მიწოდება, როგორც ეს ხდებოდა წლების განმავლობაში, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობა არასდროს დააბრუნებს ქვეყანას წარსულში.

— პირიქით, ჩვენ ვიყურებით მომავლისკენ. ძალიან ბევრ პროექტს ვახორციელებთ, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ენერგეტიკის, ისე ეკონომიკის განვითარებისთვის, — განმარტა კახა კალაძემ.

რაც შეეხება ელექტროენერგიასთან დაკავშირებულ ტარიფებს, ენერგეტიკის მინისტრის თქმით, დღეისთვის აღარ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ტარიფის ხელახალი გადახედვა მოხდეს.

ბიპიენი

## იანვარ-სექტემბერში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი 44%-ით შემცირდა



წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი 44%-ით არის შემცირებული.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 9 თვის ექსპორტის შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის განვლილი 9 თვის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 41 ქვეყანაში ექსპორტირებულია 24.071.200 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 66,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სექტემბერში მიმდინარე წლის ყველა განვლილ თვეებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ექსპორტი დაფიქსირდა — 4.235.132 ბოთლი.

შედარებისთვის: იანვარში ექსპორტირებული იყო 1.343.018, თებერვალში — 1.558. 631, მარტში — 2.198.535, აპრილში — 2.878.656, მაისში — 2.476.567 ბოთლი, ივნისში — 3.251. 246, ივლისში — 3.094.894, აგვისტოში — 3.050.265.

— საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, ექსპორტის მატებაა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორებიცაა ჩინეთი — 90%, სადაც ექსპორტირებულია 1,5 მლნ ბოთლზე მეტი.

ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილს იკავებს რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.

ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 1% (1.112.118 ბოთლი), ლატვია — 8% (831.906), ესტონეთი — 32% (339.912), ლიტვა — 6% (437.850), გერმანია — 14% (189.054), ნიდერლანდები — 146% (38.844), საფრანგეთი — 119% (28.638). ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორიცაა აშშ — 39% (181.937), იაპონია — 33% (112.226), კანადა — 69% (135. 012), ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში — 83% (117.840), ჰონგ-კონგი — 8% (26.834), ისრაელი — 163% (28.440), კორეა — 221%(24.054) და სხვა, — ნათქვამია განცხადებაში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასეთია: რუსეთი — 12.508.086, ყაზახეთი — 3.442.296, უკრაინა — 2.149.471, ჩინეთი — 1.517.843 და პოლონეთი — 1.112.118 ბოთლი.

რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში — რუსეთსა (-55%) და უკრაინაში (-62%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ, გავლენა იქონია 9 თვის ექსპორტის საერთო მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 44%-ითაა შემცირებული. ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4.483.702 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 11,8 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 97 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა (372 ათასი აშშ დოლარი). მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით 100 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ბიპიენი

## პრემიერის ინიციატივით, დედაქალაქში კორპუსების სახურავებზე მზის პანელები მოეწყობა




საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დედაქალაქის მასშტაბით საცხოვრებელი კორპუსების სახურავებზე მზის პანელები მოეწყობა. აღნიშნული ინიციატივით მთავრობის მეთაურმა თბილისის მერს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე მიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მზის პანელების დამონტაჟება იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ენერგოეფექტურობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების პროცესში, რომელიც საბჭოს სხდომაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

— მთავრობა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს ენერგოეფექტურობის მიმართულებით, რაც ენერგორესურსებზე მოთხოვნილების მართვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს, — აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

ბიპიენი

## კომუნალურ ვაუჩერს ყველა თბილისელი მიიღებს

თბილისის საკრებულოს ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.

სამუშია აცხადებს, რომ კომუნალურ ვაუჩერს ყველა თბილისელი მიიღებს.

— გუშინ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ მთავრობის სხდომაზე კომუნალური ვაუჩერის გაცემის ახალი წესი წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, ვაუჩერს ყველა თბილისელი უკლებლივ მიიღებს.

თბილისის საკრებულოს უმრავლესობა დედაქალაქის მერიასთან ერთად გამოდის ინიციატივით, რომლის თანახმად, ოჯახებს, რომლებსაც ფინანსური მდგომარეობის გამო არ ესაჭიროებათ კომუნალური ვაუჩერი, შეუძლიათ, უარი თქვან მათ მიღებაზე.



ვფიქრობ, თბილისში მცხოვრები არაერთი ოჯახი მოგვბაძავს. თითოეული მათგანის მხრიდან ეს იქნება სოლიდარობის გამოხატვა საზოგადოების სოციალურად შეჭირვებული ადამიანების მიმართ, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

მისივე ინფორმაციით, სოციალურად დაუცველ თბილისელებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 70.001-ზე ნაკლებია, 2015 წელს, გაორმაგებული სუბსიდიის გარდა, ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებით გამოწვეული სხვაობაც აუნაზღაურდებათ.

ბიპიენი

# თემურ უგულავას ყოფილი მეუღლე ქონებას ედავება

## საქალაქო სასამართლო ბიზნესმენსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის დავის დასრულებაზე განცხადებას ავრცელებს

**„ინტერპრესნიუსი“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:**

— თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა სამოქალაქო სამართალწარმოება ნანა დავითაიას სარჩელზე მოპასუხე თეიმურაზ უგულავას მიმართ. მხარეთა შორის დავის საგანს არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის გადახდის დაკისრება, თანამესაკუთრედ აღიარება და ვალდებულების შესრულების დაკისრება წარმოადგენდა.

აღნიშნული დავა ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია, თუმცა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის თავიდან არიდების მიზნით სასამართლო განმარტავს, რომ ნანა დავითაიას სასარჩელო მოთხოვნა ბავშვთან დაკავშირებული მოთხოვნების თაობაზე სრულად დაკმაყოფილდა.

კერძოდ, მოსარჩელეს აუნაზღაურდება ქ. ნიუ იორკში ცხოვრების საფასური (ბინის ქირა, სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულების, ძიძის მომსახურების, პირადი მენეჯერის მომსახურების, ენის კერძო მასწავლებლისა და კერძო ექიმის მომსახურების საფასური), რამაც ჯამურად შეადგინა 48.263 აშშ დოლარი. ასევე მოპასუხეს დაეკისრა ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიური ალიმენტის გადახდა 10.000 აშშ დოლარის ოდენობით ბავშვის სრულწლოვნების მიღწევამდე ან სხვა გარემოებების შეცვლამდე.



სასამართლომ გაიზიარა გაეროს „ბავშვთა უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის დანაწესი, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა მისი ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ბავშვის საუკეთესო ინტერესები ძირითადი ზრუნვის საგანია.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მიიღოს ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი გაუთვალისწინებელი ხარჯების 20.000 აშშ დოლარისა და 7.320 აშშ დოლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრება, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მისი აუცილებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად, არ არსებობდა დამატებითი თანხის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.



რაც შეეხება ყოფილ მეუღლეებს შორის არსებულ ქონებრივ დავას, მოთხოვნილი ქონების ნაწილზე მხარეთა უფლებებს არეგულირებს და იცავს საქორწინო ხელშეკრულება, რომლის პირობების დარღვევა თ. უგულავას მხრიდან სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია.

სასამართლო იზიარებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულ ქალთა უფლებებს, თუმცა მართლმსაჯულების განხორციელებისას თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე სასამართლო თანაბარ პირობებში აყენებს მხარეებს, მიუხედავად მათი გენდერული კუთვნილებისა, — აღნიშნულია სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

# გლდანის ციხეში ნარკოდანაშაულში ბრალდებული პატიმრები შიმშილობენ

ახლობლების ინფორმაციით, გლდანის ციხეში ნარკოდანაშაულში ბრალდებული პატიმრები შიმშილობენ. ნარკოდანაშაულში ბრალდებული კახა მამულაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ გლდანის ციხეში პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს და შემამსუბუქებელ გარემოებებს ითხოვენ. მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შიმშილობს ხუთი პატიმარი, რომლებიც ნარკოდანაშაულში არიან ბრალდებული.



— ისინი მოითხოვენ, თუკი კახა მამულაშვილს შეეხო შემამსუბუქებელი გარემოება, მათ მიმართაც გამოიყენოს პროკურატურამ იგივე ღონისძიება, — განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ერთ-ერთი მოშიმშილე პატიმრის ახლობელმა.

მისი ინფორმაციით, შიმშილობის აქცია ნარკოდანაშაულისთვის ბრალდებულებმა დაახლოებით 20 დღეა, დაიწყეს.

„ინტერპრესნიუსი“ ინფორმაციის გადამოწმებას სასჯელაღსრულების სამინისტროში ცდილობს.

ნარკოდანაშაულში ბრალდებულ კახა მამულაშვილს აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა — 15.000-ლარიანი გირაოთი შეუცვალეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი

# გუშინ სასტუმრო რედისონთან“ სროლა იყო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, ათამდე გასროლის ხმა გაიგეს, რის შემდეგაც შენიშნეს, რომ „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიიდან 3-4 ახალგაზრდა გარბოდა.

თაბუკაშვილის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებული პირი წარსულში ნასამართლევია.

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთაწმინდის მიმართულების მეოთხე ოცეულის თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნოდარ დ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ დ-ს თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან, რასაც, წინასწარი მონაცემებით, ორმხრივი სროლა მოჰყვა.



სამართალდამცველებმა ნოდარ დ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს და განაიარაღეს, ცეცხლსასროლი იარაღი კი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორმხრივი სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

ინციდენტში მონაწილე სხვა პირების გამოვლენისა და დაკავების მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 19-108-ე მუხლით). გამოძიებას შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო აწარმოებს.

ინტერპრესნიუსი

# შსს-მ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქურდული სამყაროს წევრობისა და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ბრალდებით 1959 წელს დაბადებული მურად ს. და 1961 წელს დაბადებული ვასილ ჩ. დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები აღიარებდნენ ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებდნენ დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად.



— კერძოდ, მუქარისა და დაშინების გზით ინდივიდუალურ მეწარმეებს: უჩა ჩ-ს, გია დ-ს და თეიმურაზ გ-ს გამოსძალეს 10 000 ლარი. სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას გამოძალული სრული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს, — აცხადებენ შსს-ში.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

ინტერპრესნიუსი

# აზერბაიჯანის მოქალაქეს საქართველოში ვაზნები შემოჰქონდა

აზერბაიჯანის მოქალაქე საქართველოში ვაზნების უკანონოდ შემოტანას შეეცადა. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.




— საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოსული აზერბაიჯანის მოქალაქე გ.ბ. საბაჟო-გამშვები პუნქტის, „სარფის“, გავლით 15 ცალი საბრძოლო ვაზნის შემოტანას შეეცადა. შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ვაზნები 8 ოქტომბერს ეჭვის საფუძველზე მგზავრის ხელბარგის დათვალიერების შედეგად მის ხელჩანთაში აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა საქართველოს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოს, — აცხადებენ უწყებაში.

ინტერპრესნიუსი

# ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და ქრთამის აღების ფაქტზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ მუხაესტატეში გია გოგიტიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გია გოგიტიძემ თურქეთის მოქალაქისაგან თხილის გადასამუშავებელი საამქროსათვის ფართის გამოყოფაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით 20.000 ლარი მოითხოვა.

გამგებლის წარმომადგენელმა წინასწარ აიღო ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი 4.000 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 11 წლამდე ითვალისწინებს).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

ინტერპრესნიუსი

# მებაჟეებმა დიდი რაოდენობით კოკაინის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საბაჟო- გამშვები პუნქტის, „თბილისის აეროპორტის“ მებაჟე ოფიცრებმა 4 კილოგრამი კოკაინის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს.

მათივე ინფორმაციით, სამხრეთ აფრიკის მოქალაქე ლ.მ.-ის ეჭვის საფუძველზე შემოწმების შედეგად მათ მგზავრის ბარგში ნარკოტიკული საშუალება კოკაინი აღმოაჩინეს. 4 კგ კოკაინი კონსერვის ლითონის ქილებსა და ზურგჩანთის საზურგეში იყო მოთავსებული.



საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შემოსავლების სამსახურმა შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადასცა.

ინტერპრესნიუსი

# შს სამინისტრო დნმ-ის ბანკის შექმნაზე მუშაობს

შინაგან საქმეთა სამინისტრო დნმ-ის ბანკის შექმნაზე მუშაობს. ამის თაობაზე ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა მიაწოდა, რომელმაც გუშინ პარლამენტში უწყების საქმიანობის ანგარიში წარადგინა.



— დღეის მდგომარეობით, საქართველოს დნმ-ის ბანკი არა აქვს, რომელიც უკვე ყველა განვითარებულ ქვეყანაშია. ეს ისევე აუცილებელია, როგორც თითის ანაბეჭდების ბანკი.

ახლა დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ვცდილობთ, პოლიცია დანაშაულის გამოძიების თანამედროვე მიდგომების უფრო გამოყენებაზე გადავიდეს, რაც დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს გახსნის, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა საკომიტეტო მოსმენაზე.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნორმის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგულისხმოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



# სირიის არმია შეტევაზე გადავიდა

რუსეთი სირიის მასობრივ დაბომბვებს განაგრძობს. სირიას რაკეტებს უკვე კასპიის ზღვის ტერიტორიიდანაც უშენენ.

დღეს კასპიის ზღვა გაყოფილია. ნაწილი რუსეთს ეკუთვნის, ნაწილი — აზერბაიჯანსა და ყაზახეთს. სირიას კასპიის ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. შესაბამისად, რუსულმა რაკეტებმა სხვა ქვეყნებს თავზე გადაუფრინეს.

დასავლური და თურქული მედიის ინფორმაციით, ისლამისტების პოზიციას რუსული რაკეტების მხოლოდ 2 პროცენტი დაეცა. ძირითადი სამიზნე ზომიერი სირიული ოპოზიციაა, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობს. შედეგად განადგურებულია სირიელ პარტიზანთა იარაღის საწყობი და საწვრთნელი ბანაკები.

რუსული ავიაციის მხარდაჭერით ასადის შეიარაღებული ძალები და მათი მხარდამჭერი ჰესბოლას მებრძოლები შეტევაზე გადავიდნენ.

რაიონს, რომელსაც სირიული არმია უტევს, „ძმები მუსლიმანები" აკონტროლებენ. ესაა ძველი წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელმაც ჯერ კიდევ ასადის მამას, ჰაფეზს, სისხლი გაუშრო. 1982 წელს „ძმებმა მუსლიმანებმა" აჯანყება მოაწყვეს. ასადმა ის სისხლში ჩაახშო. ამის შემდეგ „ძმები მუსლიმანების" ბევრი ლიდერი სიკვდილით დასაჯეს. მცირე ნაწილმა თავს გაქცევით უშველა. სირიის სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე მათ კვლავ წამოყვეს თავი და გარკვეულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებაც შეძლეს. ახლა რუსული რაკეტების სამიზნეც ისინი გახდნენ.

თეთრმა სახლმა მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა და სირიაში რუსეთთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. რუსეთის მოქმედება მკაცრად დაგმეს თურქეთმა და ევროკავშირის ბევრმა სახელმწიფომ. აღშფოთებას გამოთქვამენ საუდის არაბეთი, კატარი და სხვა არაბული სახელმწიფოები.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა რუსეთს მეტი გონიერებისაკენ მოუწოდა. ამავე დროს, თურქეთი ცდილობს, რუსეთთან ურთიერთობები არ გაამწვავოს. რუსული თვითმფრინავები, რომლებიც თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ, იქიდან სრულიად კორექტულად გამოაძევეს. თურქეთის შეიარაღებული ძალების მოქმედება ზუსტად პროფესიონალური და ადეკვატური იყო. თურქეთმა რუსეთთან დიალოგის მზადყოფნა გამოთქვა, რათა მომავალში მსგავსი ინციდენტები აღარ გამეორდეს.

— როგორც თურქეთის ხელისუფლება, ასევე არმია აბსოლუტურად ზუსტად მოიქცნენ, — თქვა აშშ-ის წარმომადგენელმა ნატოში ლიუიტმა.

დასავლეთის მხარდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ რუსეთი მზადაა, ერაყის იმ ტერიტორიაზეც განახორციელოს დარტყმები, რომელსაც ისლამისტები აკონტროლებენ. პრეზიდენტ პუტინის სიტყვებმა, თუ ერაყის მთავრობამ მოგვმართა, ჩვენ მას დავეხმარებითო, ბევრი შეაშფოთა.

რუსეთის პოლიტიკამ სირიაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელი გახადა. უფსკრული მოსკოვსა და დასავლეთს შორის იზრდება. დასავლეთს სურს ეს თუ არა, მოვლენებში უფრო აქტიური ჩარევა მოუწევს.

ნიკა თევზაძე



# პუტინი ჰოკეის თამაშობს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი 63 წლის შესრულდა. ამასთან დაკავშირებით სოჭში, არენა „შაიბაზე", ჰოკეის მატჩი გაიმართა. პუტინის გუნდში თამაშობდნენ თავდაცვის მინისტრი შოიგუ, ტატარსტანის პრეზიდენტი და სხვა პოლიტიკოსები. მოწინააღმდეგე გუნდში კი ვეტერანმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყვნენ ვარსკვლავები: ალექსანდრე იაკუშევი, ძმები გოლიკოვები, სერგეი კასატონოვი, პავლე ბურე, ვიაჩესლავ ფეტისოვი და ა.შ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პუტინის გუნდმა ვეტერანი ჰოკეისტების გუნდი დაამარცხა. ანგარიშია 15:10.

თავად ვლადიმერ პუტინმა ყველა რეკორდი მოხსნა. მან მოწინააღმდეგის კარში შვიდი (!) გოლი გაიტანა. ეს მართლაც რეკორდული ციფრია. ამას თავის დროზე თვით ლეგენდარული ბობროვი, სტარშინოვი, ხარლამოვი, ფირსოვი, ესპოზიტო ან გრეცკიც კი ვერ ახერხებდნენ.

— პუტინი კარგი სპორტსმენი და კარგი კომიკოსიცაა, — იტყობინება 112-ე არხი.

# პოლიტკოვსკაიას სახელობის პრემია სირიელ ჟურნალისტ ქალს მიენიჭა

ანა პოლიტკოვსკაიას სახელობის პრემია სირიელ ჟურნალისტ ქალს, ვალიდის, მიენიჭა. ის იატაკქვეშა გაზეთ „ჩემი ქვეყნის ყურძნის" რედაქტორია.

ამ გაზეთის ფურცლებზე პირველად გამოქვეყნდა ფოტოები, სადაც რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულია აღბეჭდილი.

— ტერორისა და დაბომბვის პირობებში ამისი გაკეთება უდავოდ გმირობაა, — აღნიშნავს „დოიჩე ველე".






# ირანის სულიერმა ლიდერმა აშშ-სთან მოლაპარაკებები აკრძალა

ირანის სულიერმა ლიდერმა ალი ჰამაინიმ აშშ-სთან მოლაპარაკებები აკრძალა. მან განაცხადა, რომ დღეს ირანმა, როგორც არასოდეს, საკუთარი ეროვნული და რელიგიური ფასეულობები უნდა დაიცვას:

— აშშ-სთან მოლაპარაკებებს ირანში ამერიკელების გავლენის ზრდა მოჰყვება, — ასკვნის ჰამაინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ბარსელონა პოლ პოგბას შეძენას იანვარში შეეცდება



არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბარსელონას ფრანგ ნახევარმცველ პოლ პოგბას შეძენა სურს. ამის გაკეთებას კატალონიური გრანდი ზაფხულში შეეცადა, მაგრამ ჯერჯერობით პოგბა ისევ იუვენტუსის ფეხბურთელია.

ბარსელონის სპორტულმა დირექტორმა რობერტ ფერნანდესმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლ პოგბას გადმობირება იანვარშია დაგეგმილი და ბარსელონა ამისთვის ძალებს არ დაიშურებს.

ჯერჯერობით არ სახელდება ის თანხა, რომლის გადახდასაც ბარსელონა აპირებს ამ ტრანსფერში, თუმცა, სავარაუდოდ, კატალონიელებს მოუწევთ ჯიბეზე ხელის გაკვრა, რადგან პოგბა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, რომელიც, ალბათ, იუვენტუსში დიდხანს არ გაჩერდება.



# ფრენკ რიბერიმ ვარჯიში დაიწყო

მიუნხენის ბაიერნის ფრანგ ნახევარმცველ ფრენკ რიბერის უკვე დიდი ხანია, ტრავმა აწუხებს.

მან ეს ტრავმა ჯერ კიდევ თებერვალში მიიღო და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. ამ ყველაფერმა რიბერიზე იმდენად ცუდად იმოქმედა, რომ ის ერთი პერიოდი კარიერის დასრულებაზეც დაფიქრდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი არც ისე ცუდად არის.

რამდენიმე დღის წინ ფრანგმა ფეხბურთელმა ვარჯიში განაახლა, თუმცა მისი მოედანზე დაბრუნების ვადა ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია, რომ მიუნხენის ბაიერნი რიბერის გარეშეც შესანიშნავად თამაშობს და ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა ამ სეზონში ჯერჯერობით ყველა შეხვედრა მოიგო.


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც — რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის", თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ყველა ზომის „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა" — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა" — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა" — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7" — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლალიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი", კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# ინგლისი და ავსტრია მეტოქეებს მშვიდად ელოდებიან

**ევროშესარჩევზე დღეს კიდევ 9 მატჩია. რამე განსაკუთრებული მატჩი არ ჩანს, მაგრამ ქულები ბევრ გუნდს სჭირდება და მათ მოსაპოვებლად ბოლომდე მოუწევთ ბრძოლა.**

## C ჯგუფი

### მაკედონია _ უკრაინა
**9.5 3.8 1.44**

ამ გუნდების პირველი ჯახი უკრაინამ სიდორჩუკის გოლით მოიგო, სადღეისოდაც მაკედონიელებზე უფრო მოტივირებულნი არიან, საუკეთესო მესამე ადგილისთვისაც სჭირდებათ ქულები და მეორე ადგილზე გასასვლელადაც.

2-ჯერ ამხანაგურიც უთამაშიათ. იქ ერთი მაკედონიამ მოიგო (1:0), ერთიც ფრედ (0:0) დასრულდა.

### სლოვაკეთი _ ბელარუსი
**1.50 4.00 7.00**

სლოვაკებს მეორე ადგილის პრეტენზია აქვთ და ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებენ. თუმცა, გარანტირებული არაფერი აქვთ. ერთია, ბელარუსებთან თამაში კარგად გამოსდით. პირველ წრეში სტუმრად 3:1 მოიგეს, ხოლო ამხანაგურში უფრო დიდი ანგარიშით დაჯაბნეს — 4:0.

### ესპანეთი _ ლუქსემბურგი
**1.01 17.00 34.00**

ესპანეთი რომ უდავო ფავორიტია, ეს კოეფიციენტებითაც კარგად ჩანს. მეტიც, აქამდე ეს გუნდები 5-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ლუქსემბურგმა ყველა ისე წააგო, რომ გოლიც არ გაუტანია, თავის კარში კი 11 მიიღო.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 18:3 | 21 |
| 2.სლოვაკეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:5 | 19 |
| 3.უკრაინა | 8 | 5 | 1 | 2 | 12:3 | 16 |
| 4.ბელარუსი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| 5.ლუქსემბურგი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:19 | 4 |
| 6.მაკედონია | 8 | 1 | 0 | 7 | 6:16 | 3 |

### წინა მატჩები:

უკრაინა-სლოვაკეთი .................... 0:1
ესპანეთი-მაკედონია .................... 5:1
ლუქსემბურგი-ბელარუსი ............ 1:1
ბელარუსი-უკრაინა ...................... 0:2
სლოვაკეთი-ესპანეთი .................. 2:1
მაკედონია-ლუქსემბურგი ............ 3:2
უკრაინა-მაკედონია ...................... 1:0
ბელარუსი-სლოვაკეთი ................ 1:3
ლუქსემბურგი-ესპანეთი ............... 0:4
ლუქსემბურგი-უკრაინა ................ 0:3
ესპანეთი-ბელარუსი ..................... 3:0
მაკედონია-სლოვაკეთი ................. 0:2
ესპანეთი-უკრაინა ....................... 1:0
მაკედონია-ბელარუსი ................... 1:2
სლოვაკეთი-ლუქსემბურგი ........... 3:0
უკრაინა-ლუქსემბურგი ................ 3:0
ბელარუსი-ესპანეთი .................... 0:1
სლოვაკეთი-მაკედონია ................. 2:1
უკრაინა-ბელარუსი ...................... 3:1
ლუქსემბურგი-მაკედონია ............ 1:0
ესპანეთი-სლოვაკეთი .................. 2:0
სლოვაკეთი-უკრაინა .................... 0:0
მაკედონია-ესპანეთი .................... 0:1
ბელარუსი-ლუქსემბურგი ............ 2:0

### მომავალი მატჩები:
12 ოქტომბერი:

უკრაინა-ესპანეთი
ბელარუსი-მაკედონია
ლუქსემბურგი-სლოვაკეთი

## E ჯგუფი

### ინგლისი _ ესტონეთი
**1.14 9.00 26.00**

ინგლისელები უკვე საფრანგეთში არიან და ბანაკიც დაჯავშნეს. მათთვის ეს მატჩი არაფერს წყვეტს, ესტონეთს კი მცირე შანსს უტოვებს. ტალინში ინგლისელებმა უეინ რუნის გოლით მოიგეს, ხოლო ევრო-2008-ის შესარჩევში ორჯერ დაამარცხეს ერთნაირი ანგარიშით — 3:0.

### სლოვენია _ ლიტვა
**1.40 4.20 9.50**

მასპინძელთა გეგმებში წაგება არ შედის, რადგან, შესაძლოა, საქმე გაირთულონ. თავის მხრივ, ლიტვას მოგების შემთხვევაში მინიმალური შანსი უჩნდება. ამასთან, 2 ბურთით უნდა დაამარცხონ მეტოქე, რადგან შინ 0:2 წააგეს. ეს ამ შესარჩევში, ხოლო ევრო-96-ის შესარჩევში მოგებები გაცვალეს ერთნაირი ანგარიშით — 2:1.

### შვეიცარია _ სან მარინო
**1.01 17.00 34.00**

ჯუჯა სან მარინო კინკილა ქულით ცხრილის ფსკერზეა მისვენებული. მისგან საოცრებებს არავინ ელის, მით უფრო — შვეიცარიელებთან, თორემ ის ერთი ქულა ესტონეთს წაღლიტეს და საქმე გაურთულეს.

სტუმრად შვეიცარიელებმა 4:0 მოიგეს. ასეთივე ანგარიშით მოუგეს ევრო-92-ის შესარჩევში, შინ კი 7:0 გაანადგურეს.

ევროშესარჩევი მატჩების წინ



### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 8 | 8 | 0 | 0 | 26:3 | 24 |
| 2.შვეიცარია | 8 | 5 | 0 | 3 | 16:8 | 15 |
| 3.სლოვენია | 8 | 4 | 0 | 4 | 15:10 | 12 |
| 4.ესტონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 4:6 | 10 |
| 5.ლიტვა | 8 | 3 | 0 | 5 | 6:14 | 9 |
| 6.სან მარინო | 8 | 0 | 1 | 7 | 1:27 | 1 |

### წინა მატჩები:

შვეიცარია-ინგლისი ...................... 0:2
ესტონეთი-სლოვენია .................... 1:0
სან მარინო-ლიტვა ...................... 0:2
ინგლისი-სან მარინო .................... 5:0
ლიტვა-ესტონეთი ........................ 1:0
სლოვენია-შვეიცარია .................... 1:0
ესტონეთი-ინგლისი ...................... 0:1
ლიტვა-სლოვენია ......................... 0:2
სან მარინო-შვეიცარია .................. 0:4
ინგლისი-სლოვენია ....................... 3:1
სან მარინო-ესტონეთი ................... 0:0
შვეიცარია-ლიტვა ........................ 4:0
ინგლისი-ლიტვა ........................... 4:0
შვეიცარია-ესტონეთი .................... 3:0
სლოვენია-სან მარინო ................... 6:0
სლოვენია-ინგლისი ....................... 2:3
ესტონეთი-სან მარინო ................... 2:0
ლიტვა-შვეიცარია ........................ 1:2
სან მარინო-ინგლისი ..................... 0:6
ესტონეთი-ლიტვა ......................... 1:0
შვეიცარია-სლოვენია .................... 3:2
ინგლისი-შვეიცარია ...................... 2:0
ლიტვა-სან მარინო ........................ 2:1
სლოვენია-ესტონეთი ..................... 1:0

### მომავალი მატჩები:
12 ოქტომბერი:

ლიტვა-ინგლისი
ესტონეთი-შვეიცარია
სან მარინო-სლოვენია

## G ჯგუფი

### ლიხტენშტეინი _ შვედეთი
**17.00 7.00 1.10**

შვედები ამ მატჩს მოიგებენ და შანსს შეინარჩუნებენ. მთავარი მათთვის სხვა მატჩებია.

პირველ წრეში მათ შინ 2:0 მოიგეს, მანამდე კი ევრო-2008-ზე გადაეყარნენ ერთმანეთს და სკანდინავიელებმა ვადუცში 3:0 მოიგეს, გიოტებორგში კი — 3:1.

### მოლდოვა _ რუსეთი
**10.00 6.00 1.17**

რუსების მოგების შემთხვევაში კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ ევროპირველობაზე პირდაპირი გზით მოსახვედრად, თუმცა პირველ წრეში შინ ვერ მოუგეს მოლდოველებს. ძიუბას გოლს ეპურიანუმ უპასუხა და მატჩი 1:1 დასრულდა.

ერთხელ ეს გუნდები ამხანაგურადაც შეხვდნენ და მაშინ რუსებმა 1:0 მოიგეს.

### ჩერნოგორია _ ავსტრია
**2.80 3.00 2.70**

საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, ავსტრიას, თავი ქუდში აქვს და უკვე საფრანგეთშია. აქ მთავარი ბრძოლები 2-3 ადგილებისთვის მიმდინარეობს და ერთ-ერთი კანდიდატი ჩერნოგორიაა, თუმცა ყველაზე მცირე შანსი გააჩნია.

პირველი მატჩი ავსტრიელებმა შინ ოკოტის ერთადერთი გოლით მოიგეს. გუნდები მეტჯერ არ შეხვედრიან ერთმანეთს.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ავსტრია | 8 | 7 | 1 | 0 | 16:3 | 22 |
| 2.რუსეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 17:4 | 14 |
| 3.შვედეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| 4.ჩერნოგორია | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| 5.ლიხტენშტეინი | 8 | 1 | 2 | 5 | 2:21 | 5 |
| 6.მოლდოვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3:12 | 2 |

### წინა მატჩები:

რუსეთი-ლიხტენშტეინი ............... 4:0
ავსტრია-შვედეთი ........................ 1:1
ჩერნოგორია-მოლდოვა ................ 2:0
შვედეთი-რუსეთი ......................... 1:1
მოლდოვა-ავსტრია ....................... 1:2
ლიხტენშტეინი-ჩერნოგორია ........ 0:0
რუსეთი-მოლდოვა ....................... 1:1
ავსტრია-ჩერნოგორია .................. 1:0
შვედეთი-ლიხტენშტეინი .............. 2:0
ავსტრია-რუსეთი ......................... 1:0
მოლდოვა-ლიხტენშტეინი ............ 0:1
ჩერნოგორია-შვედეთი ................. 1:1
ჩერნოგორია-რუსეთი .................. 0:3
მოლდოვა-შვედეთი ...................... 0:2
ლიხტენშტეინი-ავსტრია .............. 0:5
რუსეთი-ავსტრია ......................... 0:1
ლიხტენშტეინი-მოლდოვა ............ 1:1
შვედეთი-ჩერნოგორია ................. 3:1
რუსეთი-შვედეთი ......................... 1:0
ავსტრია-მოლდოვა ....................... 1:0
ჩერნოგორია-ლიხტენშტეინი ........ 2:0
ლიხტენშტეინი-რუსეთი ............... 0:7
შვედეთი-ავსტრია ........................ 1:4
მოლდოვა-ჩერნოგორია ................ 0:2

### მომავალი მატჩები:
12 ოქტომბერი:

რუსეთი-ჩერნოგორია
შვედეთი-მოლდოვა
ავსტრია-ლიხტენშტეინი

# საქართველოს მორაგბეებმა ნამიბიას მოუგეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ამას კვლავ ბორჯღალოსანთა იერიშები მოჰყვა. 24-ე წუთზე თამაზ მჭედლიძის დაწყებული იერიში კარგად გაიშალა და დავით კაჭარავას ლელომდე სულ ცოტა დააკლდა. ნამიბიელები ფეხით ქართველებზე უკეთ თამაშობდნენ და ჩახურვაზეც კარგად ადიოდნენ, რის გამოც ქართველებს საკუთარ ნახევარზე დაბრუნება აიძულეს და მერე რეფერიმ ჯაბა ბრეგვაძის გასინბინება მოითხოვა, რადგან ბურთის ართმევისას მან მეტოქეს იდაყვი სახეში უთავაზა.

მიუხედავად ამისა, 14-მა ქართველმა იქით შეუტია მეტოქეს, ჯარიმა კარში არ დაარტყა და მოლით ლელოში შევიდა, თუმცა ქულა ისევ არ ჩაგვითვალეს და მხოლოდ 5-მეტრა შერკინებას დავჯერდით.

მეტოქე რომ დაჯარიმდა, დავით ზირაქაშვილმა ბურთი გაათამაშა და რამდენიმე დარტყმის შემდეგ ლელოს გაიტანდა, მაგრამ ის ერთბაშად ორმა მეტოქემ ყელში შებოჭა, რისთვისაც ბურჯი რაულ ლარსონი სინბინით დაისაჯა.

ნამიბია შერკინებაში ქართველებს ვერ უძლებდა, ზედიზედ სამი ჯარიმის შემდეგ, წესით საჯარიმო ლელო ინიშნება, მაგრამ ამის ნაცვლად მსაჯმა სათადარიგო ბურჯი იოჰანეს კუცია გაასინბინა. შედეგად, შერკინებაში მიწოლა აიკრძალა, ბორჯღალოსნებმა ეს უპირატესობა კი დაკარგეს, თუმცა გორგოძემ ვიტო კოლელიშვილს ლელო გაატანინა, მაგრამ ისევ ვიდეორეფერი და ამჯერად წინ პასი დაფიქსირდა.

ბორჯღალოსნების ლელო 50-ე წუთზე მაინც გავიდა. დერეფნიდან წითელ ზოლში რამდენიმე დარტყმის შემდეგ გორგოძე ვეღარავინ შეაჩერა და მერაბ კვირიკაშვილმა გარდასახვით საქართველო პირველად დააწინაურა.

მალე მეორე ლელოც გავიდა. კარში დასარტყმელი ჯარიმა ისევ აუტში გაიგზავნა, დერეფნის მოგების შემდეგ თხილაიშვილმა კარგად შეუტია, მალაღურაძეს გადააწოდა ბურთი და მანაც ხაზი მარტივად გაჭრა. კვირიკაშვილმა ისევ ზუსტად გარდასახა. გარისკვად აღარ ღირდა და 65-ე წუთზე მეკომ ჯარიმა უკვე კარში დაარტყა — 6:17.

დასკვნითი წუთები ნამიბიის იყო, რომელმაც ჯერ ჯარიმით შეამცირა ჩამორჩენა, მერე ქართველები არეულ თამაშში აიყოლია და ფეხით გადაკიდებების შედეგად კოცე ლელოს მისწვდა და რთული პოზიციიდან გარდასახვაც შეასრულა.

17:16 და სათამაშო კიდევ 5 წუთი რჩებოდა, მაგრამ ბორჯღალოსნებმა უჯარიმოდ გაძლეს, მეტიც, მერე მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ, მოლით 30 მეტრი იარეს და რადგან ჯარიმის უპირატესობა ჰქონდათ, მალაღურაძემ არეკნი სცადა. მან ვერ გაიტანა, რეფერის უპირატესობა დაავიწყდა და, კიდევ კარგი, ნამიბიელებმა შეტევის წამოწყება ვეღარ შეძლეს.

მატჩი დათქმულ დროს დასრულდა და ასეთ მძიმე ბრძოლაში ქართველებმა იმარჯვეს — 17:16.

# ესპანეთთან უშანსოდ წავაგეთ

## ჩივაძემ მარცხი ფეხბურთელებს დააბრალა

### საქართველო _ ესპანეთი 2:5

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 მუნირი (2), 1:1 ცინცაძე (4), 2:1 ლობჟანიძე (60), 2:2 ასენსიო (61), 2:3 მაიორალი (67), 2:4 მუნირი (73), 2:5 სებალოსი (90)

**საქართველო:** ქურდაძე, გეგეჭკორი, დვალი, უბილავა, ცინცაძე, აბურჯანია, ლ.შენგელია (ს.ლობჟანიძე 55), კიტეიშვილი (გოროზია 70) , ფანცულაია (ერისთავი 80), ცნობილაძე, გოშთელიანი

**ესპანეთი:** არისაბალაგა, მანკილიო, დუარტე, ვალეხო, მერე, საული, დეულოფეუ (ხოსე როდრიგესი 85), მიგელ ტორესი, მუნირ ელ ჰადადი (სებალოსი 77), ასენსიო, კასტილეხო (მაიორალი 60)

— თანამედროვე ფეხბურთში თუ ფიზიკურად მზად არა ხარ, არავითარ ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე საუბარი არაა. სანამ შეძლეს ფიზიკურად, ბიჭებმა გაუძლეს. ყველამ ნახა, რამხელა განსხვავებაა ჩვენი და ესპანელების ფიზიკურ კონდიციებს შორის. ფეხბურთელებსაც ველაპარაკე და, როცა ფიზიკური კონდიციები არ გაქვს იმ დონეზე, რომ ერთ ტაიმს ვერ ძლებ, კომენტარი ზედმეტია, — განაცხადა ნაკრებით მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ მატჩის შემდეგ.

ესპანელებთან მარცხის გამო ფეხბურთელების დაძრახვა არ გვინდა, რადგან ეს ის ესპანეთია, რომელსაც აქამდე 4-ჯერ ჰქონდა მოგებული. თუმცა მხოლოდ ფიზიკურ მზადყოფნაზეც არ უნდა იყოს საუბარი.

ესპანელებმა სწრაფი გოლი გაგვიტანეს. ევერტონულ-ბარსელონური კომბინაცია დელოფეუს პასის შემდეგ მუნირ ელ ჰადადიმ დაასრულა.

დელოფეუ საუკეთესო იყო და ჩვენს დაცვას სისხლი გაუშრო.

ჩვენც სწრაფად გავათანაბრეთ: მათე ცინცაძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო ჩააწოდა, ბურთი გზად არავის შეხებია და კარში აღმოჩნდა.

შემდეგ რამდენჯერმე გადავრჩით. ჯერ კასტილეხომ ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან, შემდეგ ქურდაძემ ითამაშა კარგად და ფეხით რთული ბურთი მოიგერია.

საპასუხოდ ჩვენების სუსტი დარტყმები იყო.

მეორე ტაიმში მუნირმა ახლო მანძილიდან დაარტყა და ქურდაძემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

მოულოდნელად ბურთი ჩვენ გავიტანეთ: საბა ლობჟანიძემ საჯარიმოს გარედან „ცაციათი" დაატრიალა და „ცხრიანში" ულამაზესი გოლი გაიტანა.

საათის წამზამს წრეც არ ექნებოდა მოხაზული, როდესაც დელოფეუს პასის შემდეგ ასენსიომ ახლოდან თავით ანგარიში გაათანაბრა.




ესპანელები მალევე უკვე წინ გავიდნენ: მაიორალმა მახვილი კუთხიდან გაიტანა. შემდეგ მუნირმა ცნობილაძე გააბითურა და ძლიერი დარტყმით დუბლი მიითვალა.

დელოფეუსაც ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ქურდაძეს ვერ აჯობა. თუმცა, ესპანელებს მე-5 გოლი მაინც გაჩუქეთ. ბერიძემ საჯარიმოში ცუდად ითამაშა, ბურთი მეტოქეს ჩააბარა და სებალოსმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 2:5.

ჩვენივე ჯგუფში სან მარინომ 0:3 წააგო საკუთარ მოედანზე ხორვატებთან.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| 2.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 3.შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 4.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| 5.ესტონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |
| 6.სან მარინო | 4 | 0 | 1 | 3 | 0:9 | 1 |

მოამზადა
მიხეილ
ქორქოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible]

მის: მეტრო „დიდუბე", სამედ ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, ბინ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ექიმი მარიამი

# კანიე უესტს ჰეტეროსექსუალობისთვის ავიწროებენ



რეპერმა და დიზაინერმა კანიე უესტმა, რომელმაც ნიუ იორკში გამართულ მოდის კვირეულზე ტანსაცმლის საკუთარი ახალი კოლექცია წარმოადგინა, აღიარა, რომ ფეშენინდუსტრიის ჰომოსექსუალურ სამყაროში თავს არაკომფორტულად გრძნობს. მუსიკოსის თქმით, მას პროფესიონალურად ავიწროებენ მისი ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის გამო.

38 წლის უესტმა აღნიშნა, რომ მისი ჰეტეროსექსუალობა მოდის სამყაროში ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა. ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში რეპერმა განმარტა, რომ მუსიკალურ სამყაროში ყველაფერი პირიქითაა, იქ იმ შემსრულებელს ავიწროებენ, რომელიც გეია.

— მაგრამ, თუ ადამიანმა სტერეოტიპის დანგრევა მოახერხა, მაშინ ის, შესაძლოა, უდიდეს პროფესიონალად იქცეს, — განაცხადა კანიე უესტმა და იქვე აღნიშნა, რომ შავკანიანთა კულტურა, ტრადიციულად, ჰომოფობიურია.

# ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე რკინიგზა მივა



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე რკინიგზა მივა.

სხდომაზე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა მომსახურების შესახებ „საქართველოს რკინიგზის" პროექტის იდეა მოიწონეს.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს ენერგოეფექტურობის სახელმწიფო სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც ენერგორესურსებზე მოთხოვნილების მართვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები თბილისშიც განხორციელდება.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დედაქალაქის მასშტაბით საცხოვრებელი კორპუსების სახურავებზე მზის პანელები მოეწყობა.

ასევე, ეკონომიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართული ჩაის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება იწყება, რეგიონებში კი შემნახველი მეურნეობები აშენდება.

ჩაის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა წლების მანძილზე მიტოვებული პლანტაციების რეაბილიტაციას ითვალისწინებს, რაც მოსახლეობის დასაქმებასა და მეჩაიეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტი მთავრობას დასამტკიცებლად უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

რეგიონებში კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში შემნახველი მეურნეობების აშენება იგეგმება, რაც ქვეყნის მასშტაბით სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობის განვითარებასა და პროდუქციის შენახვის ხანგრძლივობის გაზრდას ისახავს მიზნად.

ეკონომიკურმა საბჭომ ასევე მოიწონა ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო თემის პროექტის საბოლოო ვერსია. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კონკრეტული სამუშაოები ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში დაიწყება. ნიუსპრესი

# დედამ შვილი ჰომოფობიისთვის დასაჯა

ამერიკელმა ქალმა თავისი შვილი ქალის ტანსაცმელში გამოაწყო და მასთან ერთად სავაჭრო ცენტრში გაემგზავრა, სადაც ის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ როკ-ჰილის პოლიციამ დააკავა. ქალმა საკუთარი ქმედება შვილის დასჯის სურვილით ახსნა.

პოლიციელები სავაჭრო ცენტრის თანამშრომლებმა გამოიძახეს, რომლებმაც ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭი ნახეს. მას ეცვა ქალის თეთრეული, მაისური, ბალერინის ფეხსაცმელები. მას თმა მეტად უჩვეულოდ ჰქონდა შეკრეჭილი. თავის შუა ნაწილში თმები გადაპარსული ჰქონდა, შუბლზე პარიკის ფრაგმენტი ჰქონდა მიწებებული, კეფაზე კი მარკერით ეწერა „ცუდი".

ბავშვის დედის თქმით, მისმა შვილმა სასჯელი სკოლაში ჩხუბისა და ჰომოფობიური შეურაცხყოფისთვის დაიმსახურა. მან აღნიშნა, რომ უკვე დიდი ხანია, ებრძვის მის საქციელს. სხვა, მათ შორის ფიზიკურმა დასჯამ შედეგი ვერ გამოიღო და ამიტომ გადაწყვიტა, დაემცირებინა.

სამართალდამცველებმა ქალს აცნობეს, რომ მან დასჯის მიუღებელი ფორმა აირჩია და ამიტომ მისი საქმე ბავშვებზე მეთვალყურეობისა და ზრუნვის ორგანოებს გადაეცემა.



# ბრაკონიერებმა ზიმბაბვეში სპილოები მოწამლეს



ზიმბაბვეს პარკებში ბრაკონიერებმა ციანიდით 14 სპილო მოწამლეს. ექვს მოკლულ ცხოველს ეშვები ჰქონდა მოჭრილი.

ხვანგეს ეროვნულ პარკში ექვსი სპილოს ლეში ჯერ კიდევ 26 სექტემბერს იქნა აღმოჩენილი, ხოლო 2 ოქტომბერს კიდევ ხუთი მოკლული სპილო იპოვეს. გარდა ამისა, სამი სპილო მოწამლეს მატუსადონის ეროვნულ პარკში. ეროვნული პარკების პრესმდივანმა კეროლაინ ვაშაიაია-მოიომ აღნიშნა, რომ ყველა შემთხვევაში შხამი იქნა გამოყენებული.

სპეციალისტებმა დაღუპული ცხოველების თირკმლები და ღვიძლი გამოიკვლიეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბრაკონიერებმა ფორთოხალში, რომლითაც სპილოებს გაუმასპინძლდნენ, ციანიდი გაურიეს.

— მოცემულ საქმეზე ჯერჯერობით დაკავებულები არ გვყავს. გამოძიება გრძელდება, — განაცხადა კეროლაინ ვაშაიაია-მოიომ.

# მონადირემ გრიზლის პირში ხელი ჩაუყო

მონტანის შტატის მთებში ადგილობრივი მონადირე 180-კილოგრამიან გრიზლის გადაეყარა. იმისთვის, რომ მრისხანე მტაცებლის ნადავლი არ გამხდარიყო, 26 წლის ჩეიზ დელვომ დათვს ხელი პირში გარდიგარდმო ჩასჩარა.

მამაკაცის თქმით, ერთ-ერთ სტატიაში მან წაიკითხა დიდი მტაცებელი ცხოველების პირის რეფლექსებზე. სწორედ ეს ცოდნა გამოადგა მას.



შედეგად დათვი ნაკლებად აგრესიული გახდა და შემთხვევის ადგილს გაეცალა. ბუნებრივი პარკის წარმომადგენელმა ბრიუს ოჩლიმ აღნიშნა, რომ მსგავს ლიტერატურას არ გასცნობია. ის დარწმუნებულია, რომ გრიზლი ადამიანზე თავდასხმას არ აპირებდა.

— დათვს მისი მოკვლა რომ სდომებოდა, უეჭველად მოკლავდა, — განაცხადა ოჩლიმ.

დელვო მონტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ძმასთან ერთად ცხენირემზე არბალეტით ნადირობდა. სწორედ ის დაეხმარა დათვთან შეტაკების შემდეგ საავადმყოფომდე მისვლაში, სადაც მან რამდენიმე დღე გაატარა თავსა და სახეზე დაშავებული ადგილების სამკურნალოდ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## საქართველოს საზოგადოებას

დღეს რომ ვარჩიოთ, თუ ვინ არის მართალი და მტყუანი, ამის დრო არ არსებობს. ეს შეეხება ქვეყნის ხვალინდელ დღეს – ეკონომიკას. ამ მიზნით საჭიროა, შეიქმნას აღორძინების ფონდი, რომელსაც გაუწევენ კოორდინაციას ის პირები – გამგეობა, რომლებმაც ყველაზე მეტი შემოწირულობა ან უპროცენტოდ სესხის სახით დიდი რაოდენობის თანხა შეიტანეს ქვეყნის აღმშენებლობისათვის. ეს შეეხება ბიზნესმენებს, უწყებებს, ცალკეულ პირებს.

ვიმედოვნებ თქვენს ყურადღებას აღნიშნული საკითხის სრულყოფაში.

*პატივისცემით, აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაია*

*მობ: 558-66-03-51*


## სმენის აპარატი 45 ლარად 100 ლარის ნაცვლად



1. ხმის გაძლიერება 50дБ.
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც. რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 ☐ 3ც. ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.

ადგილზე მიტანა, მორგება 5 ლარი
ტელ.: 555 43-45-41


## fcnhjghjuyjpb

9 ოქტომბრისათვის



**ვერძი** — რთული დღეა. მეგობრებთან ურთიერთობას დილით მიღებული უსიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. ამ პერიოდში განსაკუთრებული თავშეკავება გმართებთ. **კურო** — ყველანაირი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდება. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფთა აღფრთოვანებას იწვევს. ნუ დაწვრილმანდებით. **ტყუპები** — გეგმები ძირფესვიანად გეცვლებათ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დღეს ნუ მიიღებთ. შესაძლოა, ძველი მეგობარი სულ სხვა კუთხით დაინახოთ. **კირჩხიბი** — ზედმეტად ნუ იაქტიურებთ. დაივიწყეთ უსიამოვნებები. თქვენი სურვილები შესაძლებლობების ადეკვატურია. **ლომი** — დღის პირველ ნახევარში ყველაზე რთულ პრობლემასაც კი იოლად მოაგვარებთ. საყვარელი ადამიანების მიმართ მეტი ტაქტი და გულისხმიერება გამოიჩინეთ. **ქალწული** — ბევრი რამ იცვლება. წარუმატებლობას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. პარტნიორთან ურთიერთობაში პრობლემები იჩენს თავს. **სასწორი** — ნუ იქნებით აგრესიული, თორემ საქმიანი პარტნიორების ნდობას დაკარგავთ. ახალგაცნობილი ადამიანისგან უსიამოვნებას ელოდეთ. **ღრიანკალი** — ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი დღეა. დროა, ფასეულობები გადააფასოთ და რეალობას ფხიზელი თვალით შეხედოთ. **მშვილდოსანი** — მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დღეს ნუ მიიღებთ. მოვლენებს ახლებურად აღიქვამთ. კარგია ფიზიკური დატვირთვა და ბუნებაში გასეირნება. **თხის რქა** — ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით. სიზმარი მალე აგიცხადდებათ. **მერწყული** — ენერგიის კონცენტრაცია მოახდინეთ და საკუთარი ინტერესები მტკიცედ დაიცავით. იფიქრეთ იმაზე, თუ რა მშვენიერია ცხოვრება და რამდენი კეთილი საქმის გაკეთება ძალგიძთ. **თევზები** — ნუ იქნებით აგრესიული, თორემ საქმიანი პარტნიორების ნდობას დაკარგავთ. ახალგაცნობილი ადამიანისგან უსიამოვნებას ელოდეთ. ზედმეტი აქტიურობა არასასურველ შედეგს გამოიღებს.

უბსეჰეტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

## hჳჯცღჯჳლბ ,

**შვეულად:** 1. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 2. მდინარე პოლონეთში; 3. ძვირფასი ქვა, მარჯნის ქართული სახელწოდება; 5. ნაყვავილარი, დამახინჯებული სახის მქონე ადამიანი; 6. შვედური ავტომობილი; 7. ჩეხეთის ძველი სახელწოდება; 11. ნივთების შესანახი ძველებური საკეტებიანი ხის ყუთი; 13. იტალიური ლიქიორი; 14. ღვინის სასმისი; 15. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 16. ინგლისური ნამცხვარი; 17. ავსტრალიური თუთიყუში; 19. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 20. ოპერა „კარმენის" კომპოზიტორი.

**თარაზულად:** 1. ქართული გეოდეზიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი მეცნიერი; 4. ქართველთა სახელწოდება მუსლიმანურ ქვეყნებში; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის ძველად საქართველოში; 10. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 12. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 14. პოპულარული მატონიზებელი სასმელი; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 18. მამათა მონასტერი; 21. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 22. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 23. უნგრელთა მეორე სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმდტ.ყტ,ეკბ რჰჯცდჯჰლტ,ბს გფსე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დურუჯი; 2. ვენერა; 3. კაზმი; 5. კოლი; 6. ჩიხურა; 8. შხანი; 11. ხაბიზგინა; 13. ბორჩალო; 14. კათედრა; 15. თაიგული; 19. თული.

**თარაზულად:** 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. რაზდანი; 9. მარშალი; 10. შხარა; 12. პლასტიკა; 16. ჩიხირთმა; 17. კრუზადო; 18. ხევსურეთი; 20. ნუსხური; 21. დოხა; 22. ფართინგი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბრეხტი; 2. ნაურუ; 3. ლაკი; 5. პანედა; 6. ურალი; 7. ფოფოდია; 11. მინსკი; 13. სპირალი; 14. დიუნა; 15. მონარქი; 16. კუბრიკი; 17. ფაცერი; 19. იალტა; 20. სარი.

**თარაზულად:** 1. ბუნგალო; 4. სტეპი; 8. კროსი; 9. ნუგა; 10. ხორუმი; 12. ტორპედო; 14. დასი; 15. მამისონი; 16. კრუპი; 18. არაყი; 21. კაფია; 22. კაპრალი; 23. ტერტერა.

# ვერიკო ანჯაფარიძეს 115 წელი შეუსრულდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდას ვერიკო ანჯაფარიძეს 115 წელი შეუსრულდებოდა. 2015 წელი მისთვის საიუბილეოა. მიხეილ ჭიაურელის მეუღლე წლების განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა და დაუვიწყარ როლებს ქმნიდა. დედის პროფესია აირჩია შვილმაც, მსახიობმა სოფიკო ჭიაურელმა, რომელიც არასდროს მალავდა, რომ თეატრი საშინლად სძულდა, რადგან გაუთავებელი რეპეტიციების გამო დედა არასდროს იყო სახლში.

ვერიკო ანჯაფარიძემ მიხეილ ჭიაურელი სტუდიაში გაიცნო. მათ შორის მალევე გაჩნდა გრძნობა, მაგრამ წყვილის ურთიერთობა ვერ შედგა.

ვერიკო ანჯაფარიძე ცოლად შალვა ამირეჯიბს გაჰყვა. ეს ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. ერთადერთი ქალიშვილი ჩვილი გარდაიცვალა. შალვა ამირეჯიბი 1924 წლის აჯანყების მონაწილე იყო და, იძულებული გახდა, საქართველოდან ევროპაში გაქცეულიყო. ვერიკო მას არ გაჰყვა.

არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლად არის მიჩნეული. ვერიკო ანჯაფარიძე კოტე მარჯანიშვილი თეატრის მრწამსის მიმდევარი და დამცველია.

# იაკობ გოგებაშვილის იუბილე მოზარდ მაყურებელთა თეატრში აღინიშნება



მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაიმართება.

პროექტის ავტორი პოეტი მაყვალა გონაშვილია, საღამოს კი თეატრალურად დადგამს რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. 19 ოქტომბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, მწერლები და პოეტები რევაზ მიშველაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მეცნიერებათა აკადემიიდან მიწვეული ენათმეცნიერები, მსახიობები და სხვა საზოგადო მოღვაწეები.

საიუბილეო საღამოზე ნაჩვენები იქნება ეპიზოდები ფილმიდან და სპექტაკლიდან „იავნანამ რა ჰქმნა“.

# ძლიერმა წვიმამ ქობულეთში სარკინიგზო მიმოსვლა შეაფერხა



ძლიერი წვიმის შედეგად ქობულეთის რკინიგზის დატბორვის გამო ბათუმი-თბილისის მატარებლის რეისი ვერ შესრულდა. როგორც საქართველოს რკინიგზის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა დაჩი ცაგურიამ განაცხადა, მატარებელი ჩაქვიდან უკან დაბრუნდა.

ცაგურიას თქმით, კომპანიამ ცადა მგზავრების ავტობუსით გადაყვანა, თუმცა დატბორვის გამო გზებზე ავტოსატრანსპორტო გადაადგილებაც შეფერხებული იყო. დაჩი ცაგურიას განმარტებით, მოთხოვნის შემთხვევაში, მგზავრებს ბილეთების თანხა 100%-ით აუნაზღაურდებათ.

ჯერჯერობით უცნობია, თბილისი-ბათუმის მატარებლის რეისი შესრულდება თუ არა.

ბიპიენი

# ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

## ავთანდილ კეკელიას ნათელ ხსოვნას



ჩვენო უსაყვარლესო ძმაო, ავთო! დღეს ორმოცი დღე გავიდა, რაც მოულოდნელად დატოვე წუთისოფელი და სამარადისო სასუფეველში დაიმკვიდრე შენი ადგილი. უდიდესი ტკივილი მოგვაყენე ყველას. შენ იყავი უპატიოსნესი, თავმდაბალი, ყველას კეთილმოსურნე, ოჯახისთვის თავდადებული, ნათესავებსა და მეგობრებში გამორჩეული პიროვნება. თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — ნახალოვკაში დაიბადე და გაიზარდე, სადაც უდიდესი სითბო და სიყვარული დატოვე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული!

***ბიძაშვილებისა და მამიდაშვილების სახელით, რომულ ჯიქია ოჯახით***

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# თაკო ნაცვლიშვილი თვის მოდელად დაასახელეს

## კიდევ ერთი წარმატება




16 წლის ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს მსოფლიო მოდის ბაზარზე. თაკო მსოფლიო მოდის კვირეულებში აქტიურად მონაწილეობს და სულ უფრო მეტი ცნობილი დიზაინერის კოსტიუმებს ირგებს.

16 წლის ლამაზმანი მსოფლიო სამოდელო ბიზნესში წარმატებულ ნაბიჯებს დგამს და ამის დასტური მსოფლიო მოდის კვირეულებში მონაწილეობაა.

მაღალი მოდის პოდიუმზე თაკოს სადებიუტო გამოსვლიდან ერთ თვეში მსოფლიო მოდის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ჟურნალმა თაკო თვის მოდელად დაასახელა და ვრცელი ინტერვიუც მიუძღვნა.

რამდენიმე თვის წინ ცნობილი გახდა, რომ ჟურნალმა თაკო გერმანის ქალაქ ჰამბურგში მიიწვია ახალი ნომრის გადაღებებზე. ქართველმა მოდელმა მაშინ თავად გაავრცელა ინფორმაცია, რომ გადაღება ჟურნალის გარეკანისთვის იყო, ახლა კი თაკომ ჟურნალის ყდა თავად გაავრცელა.

# აჩიკო ნიჟარაძე ტელევიზიების წინააღმდეგ



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე ტელევიზიების წინააღმდეგ გამოდის და მოუწოდებს მათ, ამდენი პოლიტიკის გაშუქებას თავი დაანებონ და მიაწოდონ მაყურებელს ის ინფორმაცია, რომელიც მათში დადებით ემოციებს გამოიწვევს.

**აჩიკო ნიჟარაძე:**

— რამდენი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს ამ პატარა საქართველოში და რაებს გვაყურებინებთ მთელი დღის განმავლობაში ყველა არხზე, ამინდის პროგნოზივით რომ ჩაარაკრაკებთ ხოლმე ქართველი ნიჭიერი ადამიანების წარმატებას და მერე მთელი დღე ტვინს რომ გვიბურღავთ, იმან ამას რა უთხრა და ვიღაცამ ვიღაცას რომ შეაგინა და უჩივლა.

დაიღალა ხალხი ამ მდარე ხარისხის იუმორით, მდარე ხარისხის მუსიკის მოსმენით, ამდენი პოლიტიკით, ამდენი უარყოფითი ეთერით, ამდენი გაჭირვებით. ხალხს დიდი ხანია, აღარ აინტერესებს ეს ბოდვა. დიდი ხანია, საზოგადოება მიხვდა, ვინ რას წარმოადგენს ამ ქვეყანაში.

სასაცილოა ის ფაქტიც, რასაც გვერდიდან ვუყურებ, ზოგიერთი მართლა ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ, ბოდიშით და ვაზელინ თავზე წასმული რომ დაეხეტება აქეთ-იქით. ორპირი ადამიანებით გაივსო ქვეყანა. აქეთ-იქეთ კურდღლებივით რომ დაკუნტრუშობენ... თან კაცები რომ გქვიათ, პატარა კაცუნები. უბრალოდ, მეცინება, რომ ვხედავ ამ ადამიანებს. თან ძალიან ხშირად ვხედავ.

არადა, რამხელა ძალა აქვს ერთმანეთის სიყვარულს, ერთიანობას, ერთმანეთის გვერდში დგომას, ერთმანეთის სიხარულის გაზიარებას. ხომ შეიძლება, ამ პატარა ქვეყანაში მაინც შევძლოთ ყველამ ერთად სიკეთის კეთება.

# ოთარ ჭილაძის რომანი მაკედონიურად ითარგმნა



მწერლისა და პოეტის ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მაკედონიურად ითარგმნა. ოთარ ჭილაძე სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული კლასიკოს მწერლად და მისი ნაწარმოებები ბესტსელერად იქცა. მისი შემოქმედება არასდროს ტოვებდა გულგრილს მკითხველს. ოთარ ჭილაძის სახელი დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა და მისი რომანები თუ ლექსები სხვადასხვა ენაზე ითარგმნება.

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით გამომცემლობა იკონამ გამოსცა ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მაკედონიური თარგმანი. რომანის მთარგმნელი დეიან ტრაიკოვსია.

„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია. ის პირველად 1982 წელს გამოიცა, მეორედ კი — ერთწლიანი პაუზის შემდეგ.

რომანში სიუჟეტი XIX საუკუნის საქართველოს ფონზე იშლება. მკითხველის თვალწინ იბადება ახალი ხასიათის ადამიანი, რომელმაც მომავალ ცხოვრებას დასაბამი უნდა მისცეს.

# ნიკა ქავთარაძე კომედი არხზე გადავიდა



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე კომედი არხზე გადავიდა. „სოციალური ცელის“ ერთ-ერთი წამყვანი ახალ შოუს ამზადებს. მისი ახალი გადაცემის ჩაწერები ორშაბათს დაიწყება.

**ნიკა ქავთარაძე:**

— უამრავი ადამიანი მეკითხება, რატომ აღარ ვაკეთებ სტენდ აფ კომედი შოუს. პასუხი: ვაკეთებ! კომედი არხი და მე ვიწყებთ ჩემს შოუს. პირველი ჩაწერა არის ორშაბათს. ადგილები შეზღუდულია, მაგრამ, ვისაც ძალიან გინდათ დასწრება, შეგიძლიათ, მომწეროთ და დაგეხმარებით. პ.ს. უზომოდ გახარებული ვარ!

ნიკა ქავთარაძე პოპულარული საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებიდან გახდა. სხვადასხვა ტელევიზიაში ჰქონდა საკუთარი იუმორისტული გადაცემები, ბოლოს კი გოჩა თანდარაშვილთან და ზაქრო ინწკირველთან ერთად „სოციალური ცელი“ მიჰყავდა. ამჟამად ნიკა ქავთარაძე კომედი არხის სხვადასხვა გადაცემაში მონაწილეობს, სულ მალე კი თავისი საავტორო იუმორისტული გადაცემით დაბრუნდება ეთერში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



## TV პროგრამა

პარასკევი
9 ოქტომბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.40** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი" 11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "არქიტექტურა" **14.05** მხ/ფ **"ჯონი ინგლიში" 16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა" 18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. **"ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი" 21.55** "კომუნიკატორი"– წარდგენა **22.00** ქართ. ტ/ფ. **"ფეოლა" 22.50 რაგბი.** მსოფლიო თასი. **ახალი ზელანდია – ტონგა 00.50** მხ/ფ **"ოთხ ივლისს დაბადებული"** (ტ.კრუზი)

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **11.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" **12.00** მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი" 3-4** სერ. **14.00, 22.00** ტ/სერ. **"ადვოკატები" 16.00** დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" **18.00** დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"თაფლაკვერის კატუნა"**

**06.00** სერ. **"კარმა" 06.30** სერ. **"ბოშა ქალი" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი" 11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი" 17.35** სერ. **"საიდუმლო" 18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი" 20.55** სერ. **"ნამსხვრევები" 22.00** სერ. **"ჟუმონგი" 00.00** მხ/ფ **"ჩამშვები" 02.10** მხ/ფ **"სექსი გაცვლით"** (მ.ფრიმანი)

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი" 07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები" 18.55** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.55** სერ. **"ქარადაი" 20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.00** ელიტ მოდელ ლუქი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "მოგზაურობა იტალიაში-ტურინის სუდარა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "კადრს მიღმა" **11.25** კარაბადინი "ივანე ბერიტაშვილი, ნარგიზ ნაჭყებია" **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ.ანიმ. ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლობედია **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი-გენმოდიფიცირება **17.00** დ/ფ "პატრიარქი თუშეთსა და ხევსურეთში" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-"გორდელა" (თბილისი) **20.00** თაობა ზეტი "ფოტოგრაფია" **20.40** ძილი ნებისა "სამყაროს შექმნა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "რას გვიამბობენ ტაძრის ქვები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ტარზანი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ. სერიალი "პროფესია მოგზაური" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ლამაზი ცხოვრება" 1.30 სერიალი "ტატიანა"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3999 | ევრო — 2.6999 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6745 | 100 რუსული რუბლი — 3.8615 |

## ამინდის პროგნოზი 9 ოქტომბრისთვის






### კალეიდოსკოპი

# ბავშვებს პრინცი ჰარი მასხარა ეგონათ

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის პატარა ლაურეატების ლონდონში პრინც ჰარისთან შეხვედრის დროს ბავშვებს სამეფო ოჯახის წევრი მასხარა ეგონათ.

— თქვენ მასხარა ხართ? შეგიძლიათ, საჰაერო ბურთისგან ცხოველი დამიმზადოთ, თუ შეიძლება? — ჰკითხა ღონისძიების მონაწილე ერთ-ერთმა ბავშვმა, ცხრა წლის ნელი-მეი ევანსმა. ამ შეკითხვამ პრინცი ჰარი მეტად გაამხიარულა.



— შევეცდები, მაგრამ ვერ დაგპირდები, — უპასუხა სამეფო ოჯახის წარმომადგენელმა.

ორგანიზაციამ აღნიშნული შეხვედრა მძიმედ დაავადებული ბავშვებისთვის გამართა. ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლის დროს პრინცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებამ გაერთიანებული სამეფოს ყველაზე მამაც ბავშვებს მოუყარა თავი.

# გერმანელი მსახიობი ქალაქში ჰიტლერის სახით დადიოდა



მსახიობი ოლივერ მაზუჩი, რომელმაც ადოლფ ჰიტლერის როლი შეასრულა კომედიურ ფილმში „ის ისევ აქ არის“, მთელი თვე ფიურერის ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა. ის მიმართავდა მოქალაქეებს, რათა ეხილა მათი რეაქცია ნაცისტ ლიდერთან მიმართებით და გამოერკვია, თუ როგორი შეხედულებები ჰქონდათ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე.

„ჰიტლერის“ საუბრებს გერმანიის მოქალაქეებთან ვიდეოზე იღებდნენ, რომლებიც შემდეგ ფილმში იქნა გამოყენებული. გადაღებების დასრულების შემდეგ მაზუჩიმ მოსახლეობასთან ურთიერთობისგან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ისაუბრა. მისი თქმით, გერმანელების რეაგირება „ჰიტლერთან“ ურთიერთობაზე მოულოდნელად მეგობრული იყო. ისინი მასთან საკუთარ პრობლემებზე საუბარს ცდილობდნენ. მსახიობი გააოგნა იმ ფაქტმა, რომ მის ჩაცმულობასა და გრიმს არავინ აღუშფოთებია და შეურაცხყვია.

— ძალიან ბევრი ადამიანი პოზიტიურად რეაგირებს ჰიტლერზე. ნუთუ ეს საერთოდ შესაძლებელია? — განაცხადა მაზუჩიმ.

მსახიობი ფილმის რეჟისორთან და გადამღებ ჯგუფთან ერთად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გერმანელები ნაციონალიზმისკენ იხრებიან, რაც, მათი აზრით, ქვეყნის დემოკრატიას საფრთხეს უქმნის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საქართველოს მორაგბეებმა ნამიბიას მოუგეს

**ნამიბია-საქართველო 16:17**



ბორჯღალოსნებმა 2015 წლის მსოფლიო თასის დასკვნით მატჩში ნამიბია უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხეს და ტურნირამდე დასახული ამოცანაც წარმატებით შეასრულეს — 2 თამაში მოიგეს და 2019 წლის მსოფლიო თასისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.

დიდი ალბათობით, საქართველო მესამე ადგილს აღარ დაკარგავს და იაპონიის საგზურს 4 წლით ადრე მიიღებს, მაგრამ ოფიციალურად ეს დღეს უნდა გაფორმდეს, როდესაც ახალი ზელანდია ტონგას ეთამაშება და ამ მატჩში ტონგელებმა ოლ ბლექსთან 2 პრემიული ქულის აღება ვერ უნდა მოახერხონ.

ორმა არჩათვლილმა ლელომ მატჩის პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრები დააბნია. ბევრი იყო ტექნიკური წუნი, რომლის გამოც ბურთი რამდენჯერმე დაიკარგა, მატჩის დებიუტში ლელოზე თამაში, გასატანი ჯარიმების უგულებელყოფა და მეტოქისთვის სასარგებლოდ არეულ თამაშში აყოლა ჯარიმებზე აისახა.

მიუხედავად იმისა, რომ თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა, ტაბლოზე საბოლოო ანგარიში მაინც ჩვენ სასარგებლოდ აისახა. ნამიბიამ კი ბოლომდე იბრძოლა, მსოფლიო თასზე მონაწილეობის ისტორიაში პირველი მოგების გასაფორმებლად მაქსიმუმი გაიღო, მაგრამ ობიექტურად უფრო ძლიერ მეტოქესთან ღირსეულ ბრძოლაში დამარცხდა.

მოკლედ, ქართველებმა ერთი შეხედვით იოლად მოსაგებ მეტოქესთან მაგრად ინერვიულეს. სანამ გუნდები მოედანზე გავიდოდნენ, იქ საქართველოს ნაკრების ბურჯი დავით ზირაქაშვილი გამოცხადდა და ეროვნულ გუნდს ოფიციალურად დაემშვიდობა — მან ბორჯღალოსნების კვართი 53 შეხვედრაში მოირგო, გულშემატკივარს უამრავი ლამაზი მომენტი და ლელო აჩუქა.

თამაშში ბურთი ნამიბიამ შეიყვანა და არაფრისგან 3-ქულიანი ფორა მიიღო — კოტე მიქაუტაძემ მისი შემაგრება ვერ მოახერხა, ის წინ მდგომ გიორგი თხილაიშვილს შეეხო და თიენის კოცემ იოლი 3 ქულა აიღო.

ქართველებს დაძაბულობა ეტყობოდათ და მცირედი შეცდომების ხარჯზე ნამიბია ქართველთა ნახევარზე დარჩა, მაგრამ არეკნი მიზანს მაგრად ასცდა. ამასობაში ქართველები აბურთავდნენ, უკანა ხაზი აამოქმედეს და აფრიკელთა კაპიტანმა, წამყვანმა მორაგბე ჟაკ ბერგერმა მერაბ შარიქაძე კი შებოჭა, მაგრამ დაშავდა და შესაცვლელი გახდა.

ქართველები მეტოქეს ჯამში სჯობდნენ, მოლს კარგად უჩერებდნენ, შერკინებაში მძლავრობდნენ, ბურთის გატანა რომ გაუჭირდათ, ლაშა მალაღურაძემ ტინუს დიუ პლესს ბურთი ხელიდან ამოუგდო, იერიში გიორგი ნემსაძემ და მამუკა გორგოძემ გააგრძელეს და ლელოში სანდრო თოდუა შეიჭრა, მაგრამ ტელერეფერიმ, მალაღურაძეს ბურთი წინ გადაუვარდაო და მონაგარი არ ჩათვალა.

ქართველთა სათამაშო უპირატესობის ფონზე, მე-17 წუთზე ნამიბიამ კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და 6:0.

გაგრძელება მე-9 გვერდზე



### იუმორი

ცოლი ქმარს საყვედურობს:

— რომ მცოდნოდა, ასეთი ღარიბი იყავი, ცოლად არ გამოგყვებოდი!

— კი მაგრამ, სულ იმას არ გეუბნებოდი, ამ ქვეყანაზე შენ გარდა არაფერი გამაჩნიაო?!

●●●

წარწერა საფლავზე:

„რაცხა არ მჭირს კაი ამბავი...“

●●●

შვილი მამას ეკითხება:

— მამა, რას ჭამ?

— სადაა, შვილო, საჭმელი, იქით გაიწიე, უნდა დავამთქნარო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— ცოლი რატომ გაუშვი სახლიდან?

— მეძავი იყო.

— ბიჭო, ენაგადმოგდებული დავეძებ მეძავებს, შენ კიდევ სახლში გყავდა და გაუშვი?!

●●●

დიდი ხნის უნახავი მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— როგორ ხარ?

— ისე მაგრად ვარ, ჯიხვს უკანალში რომ ჩავბერო, რქებს გავუსწორებ.

●●●

ოსი აივანზე შარვალს ფენს, ხელიდან გაუვარდება და ჩავარდება. ოსი ჩაილაპარაკებს:

— კიდევ კალგი, სენი წილიმე, ზედ არ მეცვა.

●●●

კაცი მდინარის პირას მივა, ჩექმებს, წინდებს გაიხდის და ფეხებს მდინარეში ჩაყოფს. ცოტა ხანში მდინარიდან ოქროს თევზი ამოყოფს თავს და ეუბნება:

— ოღონდ მდინარიდან ფეხები ამოყავი და, რაც გინდა, მთხოვე.

●●●

კაცს მეგობარი ესტუმრება და ხედავს, ეზოში სამფეხა ღორი დადის. გაკვირვებული მასპინძელს ეკითხება:

— ეს რა არის?

— რა და მუჟუჟი მომინდა და მაგისთვის ღორს ხომ არ დავკლავდი!

●●●

კაცი სილამაზის სალონში შევა და დალაქს ეუბნება:

— აი, თავის დაბანა რომ არ უნდა, თმები ისე შემჭერი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*










**შვეულად:** 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი საფანტი; 2. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული გასართობი თავსატეხის შემქმნელი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 6. ჰოლანდიის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 14. მომთაბარე არაბი; 15. გადასახადებისაგან გათავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 19. ხოხბის, მწყრის ბარტყი.

**თარაზულად:** 1. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 4. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 7. კენიის დედაქალაქი; 9. ქალის სასიმღერო ხმა; 10. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 12. მუსლიმანთა მარხვა; 16. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 21. მდგომარეობა ჭადრაკში; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*